პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოებისორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 178 (9954) | ხუთშაბათი, 29 ივლისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

გ. მ. მალენკოვმა მიიღო ინდონეზიის რესპუბლიკის ელჩი სუბანდრიო (1-ლი გვერდი).

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

ა. კევლიშვილი. — პოლიტიკური მოხსენების მაღალი დონისათვის (მე-2 გვერდი).

საგაზეთო თემაზე. — **ვ. შავგულიძე.** — უკეთ გავაშუქოთ სოფლად პარტიული მუშაობის გარდაქმნა (მე-2 გვერდი).

პ. ჭიოკაძე. — უზრუნველყოთ [illegible] მელები ხალ-ბოსტნეულით (მე-2 გვერდი).

გ. ნოდია. — ენგურის ქალაქის [illegible] (მე-2 გვერდი).

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნის წინ. — **მახარაძის რაიონი — გამოფენის მონაწილე** (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

არ დავუშვათ დანაკარგი მოსავლის აღებაში

თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების გადამწყვეტი დღეებია. მკა გაჩაღდა ჩვენი რესპუბლიკის მთიან რაიონებშიც. განუხრელად ახორციელებენ რა სსჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებს სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის შესახებ, საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები სერიოზულ წარმატებებს აღწევენ. მაგალითად, ლაგოდეხის რაიონის მშრომელებმა თავთავიანი კულტურების დიდი მოსავალი მოიყვანეს, ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა, მტს-ების მიერ შესრულებული სამუშაოებისათვის ნატურანაზღაურების ვალდებულებანი. პურეულის მოსავლის აღების დამთავრება ლაგოდეხელებმა სპეციალური შეკრებით აღნიშნეს. შეკრებაზე უხვი მოსავლის შემქმნელებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება მოსავლის სწრაფად, უდანაკარგოდ აღებისა და პურის დამზადების გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ამავე დროს იმსჯელეს სოფლის მეურნეობის დარგში მორიგ ამოცანათა უკეთ გადაწყვეტაზე და ამთავითვე შეუდგნენ ზრძოლას მომავალი წლის ბარაქიანი მოსავლისათვის. პურის მკის გეგმა წარმატებით გაანაღდეს გურჯაანის რაიონმა, ლაგოდეხის, თელეთის, ყვარლის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა. მოწინავე კოლმეურნეობები ყველაფერზე მაღლა სახელმწიფოს ინტერესებს აყენებენ და პირველი განალეწი მარცვლეულით იხდიან თავიანთ ვალდებულებებს საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა საბრძოლო ამოცანები დაგვისახა მოსავლის მოკლე ვადებში და უდანაკარგოდ აღებისათვის. „მოსავლის აღება, — ნათქვამია პლენუმის დადგენილებაში, — სოფლის მეურნეობაში მუშაობის უმნიშვნელოვანესი, დამამთავრებელი ეტაპია. მოსავლის ასაღები ყველა სამუშაოს დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებაზე დამოკიდებულია სახელმწიფოსათვის პურისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების ჩაბარების გეგმის წარმატებით შესრულება, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უზრუნველყოფა საკუთარი კეთილხარისხოვანი თესლით, საფურაჟე მარცვლეულით, წვნიანი და უხეში საკვებით საზოგადოებრივი პირუტყვისათვის, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცება და კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება“.

მოსავლის აღების მიმდინარეობა მოწმობს, რომ ეს სამუშაო წელს წინა წლებთან შედარებით უფრო ორგანიზებულად ეწყობა. მკაში 1.108 კომბაინი მონაწილეობს. ფართო ხასიათი მიიღო კომბაინერთა სოციალისტურმა შეჯიბრებამ მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის, კომბაინის თვითეული აგრეგატის დღიურ დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის, მარცვლეულის მეტი გამოსავლიანობისათვის. მთელ რიგ მტს-ებში გაიზარდა კომბაინის წარმადობა, გადიდდა სოფლად შრომის ნაყოფიერება.

ამასთან არ შეიძლება არ აღინიშნოს ის სერიოზული ნაკლოვანებანი, რასაც ვხვდებით მოსავლის აღებასა, ლეწვასა და პურის დამზადებაში. მოსავლის აღებაში მთავარია დანაკარგებთან ბრძოლა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თავთავიანი კულტურების აღების ვადეზსა და ხარისზზე დამოკიდებულია დანაკარგის თავიდან აცილება.

ფაქტები მოწმობენ, რომ ჯერ კიდევ აღკვეთილი არ არის პურეულის დანაკარგი. ამ დანაკარგის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ ზოგიერთ მტს-ში უშვებენ პურეულის მაღლა მოჭრას, რაც დიდ დანაკარგს იწვევს. კაჭრეთის რაიონის სოფლების ლამბალოს, იორმუღანლოს კოლმეურნეობებში პურის მაღლა მოჭრის გამო ჰექტარზე დანაკარგი ერთ-ორ ცენტნერს შეადგენს. ახმეტის რაიონის ალვანის მტს-ის ზონის სოფელ ოჟიოს სტალინის სახელობის მეთესლეობის კოლმეურნეობაში კვადრატულ მეტრზე დატოვეს 20-30 თავთავი. წითელწყაროს რაიონის ელდარის სსჭოთა მეურნეობაში 1.500 ჰექტარ საშემოდგომო ქერის ფართობზე თავთავები წესიერად არ შეაგროვეს. აქ ცალკეული ნაკვეთების კვადრატულ მეტრზე დატოვებული აღმოჩნდა 20-40 თავთავი. დანაკარგების შესახებ იტყობინებიან აგრეთვე მცხეთის, გარდაბნის რაიონებიდან. ცნობილია, რომ კვადრატულ მეტრზე 2 თავთავის დატოვება ნიშნავს ჰექტარზე ფუთი პურის დაკარგვას. აქედან ნათელია, თუ რა დიდი დანაკარგები ყოფილა ზემოაღნიშნულ რაიონებში.

არის ფაქტები, რომ კახეთისა და ქართლის მთელ რიგ რაიონებში არ ხდება თავთავების შეგროვება არც ფოცხებით, არც ხელით. ამასთან მარცვლის მნიშვნელოვანი დანაკარგია კომბაინებიდან კალოზე პურის გადაზიდვის დროს. ზოგიერთ შემთხვევაში დანაკარგს იწვევს აგრეთვე მკის დაბალი ტემპი, კომბაინებისა და სალეწების მუშაობის შეფერხება ტექნიკური უწესივრობის გამო, როცა ბევრი მარცვალი რჩება ნამჯასა და ნახორში, აგრეთვე ძნებად დადგმის, დაზვინვისა და გალეწვის გაჭიანურება.

სერიოზული ყურადღების ღირსია შრომის სწორად მოწესრიგება. მკასა და ლეწვაზე ძვირფასია თვითეული საათიც კი. მთელი მუშაობა ისე უნდა წარიმართოს, რომ მოსავლის აღების სამუშაოთა ყველა გადამწყვეტ უბანზე უზრუნველყოთ მაღალი ორგანიზებულობა.

განა ძნელია თავიდან ავიცილოთ პურეულის დანაკარგი? არა, არ არის ძნელი. ამისათვის საჭიროა გადაჭრით გავაძლიეროთ მოსავლის აღების ტემპი, არ დავუშვათ პურის გადამწიფება, მარცვლის ჩაცვივნა, უზრუნველყოთ თვითეული კომბაინის სრული სიმძლავრით გამოყენება, მკაზე გამოვიყენოთ ნარტივი მანქანები, ყველა საშუალებანი.

კომბაინებით მოსავლის აღებისას უნდა აღიკვეთოს პურის მაღლა მოჭრა, რათა თავიდან ავიცილოთ დანაკარგები. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მტს-ებისა და მექანიზაციის მთავარი სამმართველო ვალდებული არიან გააძლიერონ ხელმძღვანელობა და დახმარება მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისადმი და უზრუნველყონ კომბაინების შეუფერხებელი მუშაობა.

საჭიროა პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა და რაისაბჭოების აღმასკომებმა ყოველდღიურად, კონკრეტულად უხელმძღვანელონ მოსავლის აღების სამუშაოებს, გამოიჩინონ მეტი მომთხოვნელობა დანაკარგების ლიკვიდაციისადმი. ისინი მოწოდებული არიან მოაწყონ მუდმივი კონტროლი მკის, ლეწვისა და პურის დამზადების სამუშაოებისადმი, ადგილზევე მიიღონ სასწრაფო ზომები ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ გამოსწორებისათვის.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები მოწოდებული არიან მოსავლის უდანაკარგოდ აღებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ. საქმის ინტერესები მოითხოვს, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა შექმნან თვითეულ კოლმეურნეობაში, მტს-ში, სსჭოთა მეურნეობაში დანაკარგებისადმი შეუწყნარებელი დამოკიდებულების ატმოსფერო.

აუცილებელია პარტიულმა ორგანიზაციებმა, სოფლის აგიტატორებმა ფართოდ განუმარტონ ყველას, ვინც მოსავლის აღებაზე მუშაობს, დანაკარგებთან ბრძოლის სახელმწიფოებრივი, საყოველთაო-სახალხო მნიშვნელობა და დარაზმონ საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილების წარმატებით განხორციელებისათვის.

25 ივლისს პარტიისა და საბჭოთა კავშირის მთავრობის ხელმძღვანელებმა ამხანაგებმა **კ. ე. ვოროშილოვმა, ლ. მ. კაგანოვიჩმა, გ. მ. მალენკოვმა, ა. ი. მიკოიანმა, ვ. მ. მოლოტოვმა, მ. ზ. საბაროვმა, ნ. ს. ხრუშჩოვმა** და **ნ. ნ. შატალინმა** დაათვალიერეს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს ახლდნენ და ახსნა-განმარტებას აძლევდნენ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი **ი. ა. ბენედიქტოვი** და გამოფენის დირექტორი აკადემიკოსი **ნ. ვ. ციცინი.**

სურათზე: პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები გამოფენის ტერიტორიაზე.

ფოტო ნ. პეტროვისა.

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★

საგარეჯოს რაიონმა შეასრულა პურის დამზადების გეგმა

საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობებმა 24 ივლისისათვის 101,3 პროცენტით შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა სიმინდის ჩაუთვლელად.

გრძელდება პურის ჩაბარება მტს-ების მიერ შესრულებული სამუშაოებისათვის ნატურანაზღაურების ანგარიშში.

შვიდი თვის გეგმა შესრულებულია

ბიათურა. (საკ. კორ.). **ჭიათურელმა მაღაროელებმა, რომლებიც ნიკოპოლელ მოძმეებს ეჯიბრებიან, 28 ივლისისათვის შეასრულეს შვიდი თვის გეგმა. კარგად მუშაობენ ლენინისა და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა კოლექტივები. ჭიათურელები გეგმის გადამეტებით საბშობლოს აძლევენ ათასობით ტონა მარგანეცს.**

ამბები საწარმოებიდან

⊙ **მცხეთის რაიონის** ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი შეუდგა აგურის ქარხნისა და მაცივრის შენებლობას. აგურის ახალი ქარხანა გათვალისწინებულია წელიწადში 3 მილიონი ცალი აგურის გამოსაშვებად. **(საკ. კორ.).**

⊙ **ქუთაისის სატყეო ტექნიკუმის** მოსწავლეთა საერთო საცხოვრებლის მოსაწყობად ახლახან დამთავრდა ორსართულიანი სახლის აგება, სადაც 90 კაცი იცხოვრებს. **(„კომუნისტის“ კორ.).**

⊙ **სამტრედიის საკონსერვო კომბინატის** კოლექტივმა წლის პირველ ნახევარში გეგმის გადამეტებით გამოუშვა 63 ათასი ქილა მურაბა და 190.900 ქილა ჯემი. შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად სამტრედიელმა მეკონსერვეებმა ექვს თვეში 215.000 მანეთი ზეგეგმითი დაგროვება მოგვცეს. **(საკ. კორ.).**

⊙ **ბოლნისში ადგილობრივი მრეწველობის** ხაზით დაწყებულია საავეჯო ფაბრიკის აგება, რაც წლის ბოლოსათვის უნდა დამთავრდეს. ფაბრიკა ყოველწლიურად გამოუშვებს 2 მილიონი მანეთის საკანცელარიო და ფართო მოხმარების ავეჯს. **(საკ. კორ.).**

⊙ **თბილისის ფეხსაცმლის** მესამე ფაბრიკის კოლექტივმა, რომელმაც გადაჭარბებით შეასრულა წლის პირველი ნახევრის გეგმა, 1 ივლისისათვის 9.700 წყვილი ზეგეგმითი ფეხსაცმელი გამოუშვა და 6 თვეში შრომის ნაყოფიერება 12 პროცენტით გაადიდა **(ნ. გურგენიძის** წერილიდან).

⊙ **ლითონის ჯართის** სახელმწიფოსათვის ჩაბარებაში დაწინაურდნენ ჭიათურიშენი, მარგანეცის ტრესტი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, მარელისის ავეჯის ფაბრიკა. ჩამორჩნენ თერჯოლის მტს-ი, ზესტაფონშენი და ტყიბულჩესის მშენებლობა. **(ე. ქოჩლაძის** წერილიდან).

საქართველოს კომგაინერთა სოციალისტური შეჯიბრება

კომბაინერის მუშაობა შეფასდება არა მარტო სეზონური გამომუშავების, არამედ აგრეთვე დღიურ დავალებათა შესრულების მიხედვით, არა მარტო მომკილი ჰექტარების რაოდენობის, არამედ უწინარეს ყოვლისა ჰექტარზე გალეწილი მარცვლეულის რაოდენობის მიხედვით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებიდან.

* * *

ვალდებულებებს ანაღდებენ

გადიაურის მტს-ში

სანდრო ადუაშვილი ერერგიულად შრომობს, რომ 20 სამუშაო დღეში სოფელ ყანდაურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში პურეულ მოკას 400 ჰექტარზე. ვალდებულების ანგარიშში 16 სამუშაო დღეში მოკა 350 ჰექტარი, გალეწა 3.150 ცენტნერი ხორბალი. ყოველდღიურად მკის 15-16 ჰექტარს ნაცვლად 10 ჰექტარისა.

მიხეილ ალუღლიშვილმა, რომელიც კაკაბეთის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობს, 15 სამუშაო დღეში მოკა 268 ჰექტარი, გალეწა 4.180 ცენტნერი. ერთ დღეს „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით მოსავალი აიღო 15 ჰექტარზე, თვითეულ ჰექტარზე გალეწა 25 ცენტნერი ხორბალი.

ქარელის მტს-ში

გიორგი სიხარულიძემ თვითმავალი კომბაინით სოფელ ლეთეთის კოლმეურნეობაში 6 სამუშაო დღეში მოსავალი აიღო 85 ჰექტარზე, გალეწა 850 ცენტნერი. ყოველდღიურად მკის 10-12 ჰექტარს ნაცვლად 8 ჰექტარისა.

შალვა გოჩაშვილმა „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით 7 სამუშაო დღეში მოკა 110 ჰექტარი, გალეწა 1.100 ცენტნერი. იგი სოფელ ქარელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ყოველდღიურად მოსავალს იღებს 18-20 ჰექტარზე ნაცვლად 10 ჰექტარისა.

მეგობრობისადმი მიძღვნილი პიონერთა რესპუბლიკური შეკრება

ალისფერი ყელსახვევები აელვარდნენ გუშინ დილით თბილისის ქუჩებში. ისმის გოგო-ბიჭების მხიარული შეძახილები, უჩვეულო ჟრიამული. წითელი ალმები, დროშების ტყე მოაქვთ თბილისში ჩამოსულ პიონერებს. საქართველოს ყოველმა კუთხემ თავისი შვილები გამოგზავნა დიდ დღესასწაულზე. მეგობრობისადმი მიძღვნილი შეკრება — ასე ეწოდება პიონერთა ამ დღესასწაულს, რომელიც დღეს იწყება. შეკრებაზე საქართველოს პიონერებთან სტუმრად ჩამოვიდნენ მოსკოველი, ლენინგრადელი, კრასნოდარელი, სტალინგრადელი, ბაქოელი, ერევნელი, ტუშინოელი, ულიანოვსკელი პიონერები.

დღეს დილის 10 საათზე პიონერები შეეკრიბებიან ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში. აქ გაიხსნება მეგობრობისადმი მიძღვნილი საქართველოს პიონერთა მეოთხე რესპუბლიკური შეკრება. პიონერები პარკში დაათვალიერებენ ნორჩ ტექნიკოსთა გამოფენას, ისეირნებენ საბავშვო რკინიგზის მატარებლით.

6 საათზე სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში (ფუნიკულორის პლატო) გაიმართება საზეიმო ხაზი. შემდეგ მოეწყობა მასობრივი გართობა, სპორტული შეჯიბრებანი, მოძრავი თამაშობანი. გართობისათვის გამოყოფილია ოთხი უბანი. ღამე დაინთება მეგობრობის პიონერული კოცონი.

30 ივლისს შეკრების მონაწილენი გაემგზავრებიან გორში, სადაც დაათვალიერებენ ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმს. ქალაქის პარკში გაიმართება მეტუკეებისა და მედოლეების კონკურსი. გორის პარკის სახაფხულო თეატრში მოეწყობა სტუმრების შეხვედრა გორელ პიონერებთან. პარკის ღია ესტრადაზე მოეწყობა მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერება. პარკის სპორტულ მოედანზე გორელი პიონერები მოაწყობენ საჩვენებელ გამოსვლებს.

31 ივლისს მოეწყობა ექსკურსია თბილისის ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად. პიონერები წავლენ თბილისის ზღვაზე, ბოტანიკურ ბაღში, მოეწყობა შეხვედრა კოჯრის პიონერთა ბანაკებთან და საბავშვო სახლების აღსაზრდელებთან.

1 აგვისტოს შეკრების მონაწილე სტუმრები გაემგზავრებიან სოხუმსა და ბათუმში.

სომხეთის მწერალთა ყრილობა

ერევანი, 27 ივლისი. (საკ.). **დღეს აქ დამთავრდა სომხეთის საბჭოთა მწერლების ყრილობა. ყრილობაში მონაწილეობის მისაღებად რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის დელეგაცია, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, ლატვიისა და სხვა მოძმე რესპუბლიკების მწერალთა ორგანიზაციების წარმომადგენლნი.** სტუმრებს შორის არიან აგრეთვე ბულგარეთის, რუმინეთის, პოლონეთის მწერლები.

სომხეთის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის 1946-1954 წლების მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა კავშირის გამგეობის მდივანმა გ. ბორიანმა. ყრილობამ განიხილა თანამოხსენებანი სომხური პროზის, პოეზიის, დრამატურგიისა და კრიტიკის მდგომარეობის შესახებ.

განვლილ რვა წელიწადში სომხეთის მწერლებმა ერთგვარი წარმატებანი მოიპოვეს. შეიქმნა მთელი რიგი დიდი პროზაული ნაწარმოებნი. მათ შორის რომანები — ახალგაზრდა მწერალ ს. ხანზადიანის „მიწა“, გ. სევუნცის „თეირანი“, რ. ჭოხარის „დიდი სახლის შვილები“, ვ. ანანიანის „სევანის პირად“ და სხვები.

ბევრი ნაწარმოები შექმნეს სომეხმა პოეტებმა — ს. კაპუტიკიანმა, გ. ემინმა, ო. შირაზმა, მ. მარკარიანმა, რ. ოვანესიანმა და სხვებმა.

ამავე დროს ყრილობაზე გამოვლინდა სომხური ლიტერატურის სერიოზული ნაკლოვანებანი.

ყრილობაზე გამოსულებმა მკვეთრად გააკრიტიკეს სომხეთის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა, რომელმაც ვერ უზრუნველყო შემოქმედებითი სექციების ნორმალური მუშაობა, არ აწარმოებდა ბრძოლას იმისათვის, რომ ჯანსაღი შემოქმედებითი ატმოსფერო შექმნილიყო მწერალთა კოლექტივის მუშაობაში.

ყრილობაზე სიტყვები წარმოთქვეს სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის მდივანმა ა. სიმონოვმა, პოეტმა მ. ლუკონინმა, კრიტიკოსმა ე. სურკოვმა, აგრეთვე საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკების მწერლებმა.

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ს. თოვმასიანმა.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ჩამოვიდა აღბანეთის დელეგაცია

27 ივლისს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოწვევით სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნაზე დასასწრებად მოსკოვს ჩამოვიდა ალბანეთის დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში თერთმეტი კაცია. დელეგაციის ხელმძღვანელია ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი ხიუსნი კაპო.

ვაგზალზე სტუმრებს შეხვდნენ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გ. გ. პეტროვი, სამინისტროს მუშაკები, აგრეთვე ალბანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში მიხალ პრიფტი. (საკ.).

გ. მ. მალენკოვმა მიიღო ინდონეზიის რესპუბლიკის ელჩი სუბანდრიო

28 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. მ. მალენკოვმა მიიღო ინდონეზიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში სუბანდრიო.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ლ. ა. ფოტიევას ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ამხ. ლ. ა. ფოტიევას საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით და რევოლუციურ მოძრაობაში მისი აქტიური მონაწილეობის აღსანიშნავად ამხ. ლიდია ალექსანდრეს ასული **ფოტიევა** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1954 წ. 27 ივლისი.

პოლიტიკური მოხსენებების მაღალი დონისათვის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის, სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების ისტორიული გადაწყვეტილებებით უდიდესი ამოცანები დაისახა საბჭოთა ხალხის წინაშე კომუნიზმის მშენებლობის საქმეში. ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანების ღრმად გაგება მათი წარმატებით განხორციელების საწინდარია. ამიტომ პარტიული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა ზრუნვა მასების სოციალისტური შეგნებულობის, იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, ზრუნვა იმისათვის, რომ მშრომელ მასებს კარგად ჰქონდეთ შეგნებული ჩვენი შშოლიური კომუნისტური პარტიის პოლიტიკა, ჩვენი განვითარების პერსპექტივები, ჩვენი ამოცანები. განსაკუთრებით ახლა, სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პერიოდში, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საგიტაციო მუშაობის გაშლას შშრომელთა შორის.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად შრომელთა ფართო მასების დარაზმვისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო აქტივის, ინტელიგენციის მონაწილეობას მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში.

აგიტაციაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების გამოსვლას შშრომელთა კრებებზე მოხსენებებით აქტუალურ პოლიტიკურ თემებზე. „პირადი ზემოქმედება და კრებებზე გამოსვლა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — პოლიტიკაში ძალიან ბევრს ნიშნავს. უამისოდ არ არის პოლიტიკური მოღვაწეობა“ (ტ. 34 გვ. 364). ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ასეთ გამოსვლას, რადგან იგი შშრომელთა ფართო მასების შეგნებას ამდიდრებს ახალი აზრებით, დაკვირვებებით, ხელს უწყობს მასებთან პარტიული და საბჭოთა მუშაკების კავშირის განმტკიცებას.

პოლიტიკურ აგიტაციაში დიდი მუშაობის გაწევა შეუძლიათ მომხსენებელთა ჯგუფებს. ამ საქმეს კარგად გაართვეს თავი და ნაყოფიერად მუშაობენ პარტიის ხოლნისის, ამბროლაურის, წულუკიძის და სხვა რაიკომებთან არსებული პოლიტიკურ მომხსენებელთა ჯგუფები. აღნიშნულ რაიონებში პარტიული და საბჭოთა მუშაკები სისტემატურად გამოდიან შშრომელთა კრებებზე, აშუქებენ აქტუალურ საკითხებს, რაზმავენ შშრომელ მოსახლეობას მათ წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის. მაგრამ ყველგან ასე როდი ხდება. მაგალითად, პარტიის ცხაკაიას რაიკომის მომხსენებელთა ჯგუფი ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. უკანასკნელი 8 თვის განმავლობაში წაკითხული 477 პოლიტიკური მოხსენებიდან რაიონის 32 კოლმეურნეობაში წაკითხულია მხოლოდ 149, იმ დროს როდესაც მოხსენებები ძირითადად რაიონის კოლმეურნეობებში უნდა ეწყობოდეს. გარდა ამისა, პოლიტიკური მოხსენებების კითხვა რაიონის კოლმეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებში კამპანიურ ხასიათს ატარებს. მოხსენებები ზოგჯერ მეტად განყენებულია, დაკავშირებული არ არის ყოველდღიურ ამოცანებთან.

უყურადღებოდ მოეკიდა ამ საქმეს აგრეთვე პარტიის ზოგდანოვკის რაიკომი. რაიკომის ბიუროს გასული წლის 22 მაისს დაამტკიცა მომხსენებელთა ჯგუფი. მანამდე კი პოლიტიკური მოხსენებების მოწყობას მხოლოდ უმნიშვნელო ადგილი ჰქონდა დათმობილი პარტიული ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმაში. აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად რაიკომის მუშაკებს ჯერ კიდევ გასული წლის ოქტომბერში მიეცათ მითითება, მაგრამ მიმდინარე წლის ივნისში აღნიშნული საკითხის ხელმეორედ შესწავლამ ცხადყო, რომ მდგომარეობა გამოუსწორებელი იყო. რაიონის კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საწარმო-დაწესებულებებში პოლიტიკური მოხსენებების ჩატარების გეგმა რაიკომის ბიუროს სხდომაზე ახლაც არ მტკიცდება. რაიონის ყველა კოლმეურნეობაში, მტს-ში და საწარმო-დაწესებულებაში მოხსენებები სისტემატურად არ ეწყობა.

უნდა აღინიშნოს, რომ შშრომელთა ფართო მასებში პოლიტიკური აგიტაციის მოწყობას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომი, ბათუმის საქალაქო კომიტეტი, მარნეულის რაიკომი და ზოგიერთი სხვა პარტიული კომიტეტები. მოლოტოვის რაიკომში თემები მომხსენებელთათვის არასწორად არის შერჩეული.

პოლიტიკურ მომხსენებელთა უმრავლესობას თემები აღებული აქვთ მხოლოდ პარტიის ისტორიაში და პოლიტიკურ ეკონომიაში წასაკითხი ლექციების თემატიკიდან, რაც არ არის სწორი. უკანასკნელი 8 თვის განმავლობაში მომხსენებელთა ჯგუფის წევრების უმრავლესობა იშვიათად გამოდის შშრომელთა წინაშე პოლიტიკური მოხსენებებით.

ზემოთაღნიშნული მაგალითებიდან ჩანს, რომ ბევრგან ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა პარტიული და საბჭოთა აქტივის მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში მონაწილეობის საქმეს. პარტიულმა კომიტეტებმა, სადაც დღემდე არ იყო შექმნილი პოლიტიკურ მომხსენებელთა ჯგუფი ანდა იგი არასწორად იყო დაკომპლექტებული, უახლოეს მომავალში უნდა დააკომპლექტონ ეს ჯგუფები ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკებით. პოლიტიკური მოხსენებების კითხვაში შეიძლება ჩავაბათ ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელსაც სათანადო მომზადება აქვს და უნარი შესწევს მოხსენებები წაიკითხოს მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე. რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტების მომხსენებელთა ჯგუფის წევრებს, როგორც წესი, უნდა ამტკიცებდეს შესაბამისი პარტიული კომიტეტის ბიუროო.

კოლმეურნეობებში, მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებში პოლიტიკური მოხსენებები უნდა ეწყობოდეს სისტემატურად, ერთ-ერთნახევარ თვეში ერთხელ მაინც. ამიტომ პოლიტიკური მოხსენებების მორიგი თემები ჩატარების ვადების ჩვენებით განხილულ და დამტკიცებულ უნდა იქნას შესაბამისი პარტიული კომიტეტის ბიუროს სხდომებზე. ბიურომ უნდა განსაზღვროს მორიგი მოხსენებების აქტუალური თემატიკა აღნიშნული თვისათვის. პოლიტიკური მოხსენებების თემები უნდა შეირჩეს იმის მიხედვით, თუ რა სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანები დგას კოლმეურნეობების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და საწარმო-დაწესებულებების წინაშე იმ თვეში, რომელშიც მოხსენების მოწყობას ვითვალისწინებთ. სწორად მოიქცნენ ის პარტიული კომიტეტები, რომლებმაც გასულ თვეებში მოხსენებები მოაწყეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების დადგენილებებიდან გამომდინარე აქტუალურ თემებზე.

მიმდინარე მომენტში, როდესაც კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ გაიშალა მოსავლის აღება, უდიდესი მნიშვნელობა აქვს შშრომელთა წინაშე მოხსენებებით გამოსვლას მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღების, სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების მნიშვნელობის საკითხებზე. შემდგომ პერიოდში მოხსენებების თემებად შეიძლება გავითვალისწინოთ საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის, პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადება და ჩვენი ამოცანები, პარტიისა და მთავრობის ზრუნვა საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის, მიმდინარე მომენტი და ჩვენი ამოცანები და სხვ. ქალაქკომებმა პოლიტიკური მოხსენებების თემებად, გარდა ზემოაღნიშნული ზოგიერთი თემისა, უნდა შეარჩიონ საწარმოო ხასიათის თემები, მაგალითად, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების შესახებ, ნედლეულისა და მასალის მომჭირნეობის, წარმოების კულტურის ამაღლების, საწარმოო გეგმების შესრულებისა და ჩვენი ამოცანების შესახებ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მოხსენებლებისადმი სისტემატურ დახმარებას. პარტიული კომიტეტების მდივნები, რომლებიც ვალდებულნი არიან თვითონ უხელმძღვანელონ მომხსენებელთა ჯგუფს, ინსტრუქტაჟის სისტემატური გაწევით უნდა ეხმარებოდნენ ჯგუფის წევრებს ყველაფერი მოხსენებების მომზადებაში.

პარტიული კომიტეტების ბიბლიოთეკებმა მომხსენებლებისათვის უნდა შეარჩიონ საჭირო მასალები: გაზეთები, ჟურნალები, წიგნები, სტატიები, საცნობარო მასალები, ციფრები, ფაქტები ადგილობრივი ცხოვრებიდან და სხვ. თვითონ მომხსენებლებმა წინასწარ უნდა შეისწავლონ იმ კოლმეურნეობის, მტს-ის, საბჭოთა მეურნეობისა და საწარმო-დაწესებულების სამეურნეო მდგომარეობა, სადაც მოხსენების ჩატარება უხდებათ და ადგილობრივი მასალების ღრმა ანალიზის საფუძველზე დარაზმონ შშრომელები მათ წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად.

საჭიროა ყოველდღიურად ვიზრუნოთ მასების შეგნებულობის ასამაღლებლად, ამ ამოცანის შესრულებაში ფართოდ ჩავაბათ ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აქტივი.

ა. კევლიშვილი,

საქ. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ინსტრუქტორი.

ენგურის ქაღალდის კომბინატში

სტახანოველები ზაფხულს კურორტებზე ატარებენ. დიდი ყურადღება ექცევა მუშა-მოსამსახურეებისა და მათი შვილების დასვენებას. საუკეთესო კურორტებზე ისვენებენ კომბინატის სტახანოველი მუშები: ყირიმში — აგარაკ ალუშტაზე ისვენებს სამამულო ომის მონაწილე, კომბინატის ელექტრომონტიორი ვლ. სვირიდოვი, კისლოვოდსკში — სამუშაოთა მწარმოებელი გრ. შემეიკოვი, შემფუთავი საამქროს მუშა ქალი უ. გაბრალავა იმყოფება გაგრაში, ქაღალდის წარმოების უფროსი ალ. ესხბუა წყალტუბოში მკურნალობს. კომბინატს ლებარდეში აშენებული აქვს ორი სახლი, სადაც მორიგეობით ისვენებენ წარმოების მოწინავე მუშა-მოსამსახურეები.

არანაკლები ყურადღება ექცევა მუშა-მოსამსახურეთა შვილების დასვენებას. ბავშვებისათვის სოფელ ჩკადუაშში მოწყობილია პიონერთა ბანაკი, სადაც 80 ბავშვი ატარებს ზაფხულის ცხელ დღეებს, საუკეთესო კურორტებზე ისვენებენ აგრეთვე კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა სბავშვო ბაღის აღსაზრდელები.

ტერიტორიის გამოწვანება და კეთილმოწყობა. დღითიდღე იზრდება და მშვენდება ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამრეწველო უბანი — ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატი, მნიშვნელოვანი სამუშაოებია ჩატარებული კომბინატის ტერიტორიის კეთილმოსაწყობად. მიმდინარე წელს 6 ათას კვადრატულ მეტრზე დაგებულია ქვაფენილი, დამთავრდა დიდი ასფალტირებული მოედნის მშენებლობა.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე კომბინატის ტერიტორიაზე დაირგო 15 ათას ძირზე მეტი დეკორაციული მცენარე, ხეხილი და ბუჩქი. გაშენდა ყვავილნარები მთავარი კანტორის, თბოელექტროცენტრალის და რვეულების საამქროს მოედნებზე, გაკეთდა რკინის ბორდიურები და გაზონები, მიმდინარეობს პარკის მშენებლობა მთავარი კანტორის შენობის წინ.

ახალი კომფორტაბელური გინები მექაღალდეებს. დიდი ყურადღება ექცევა მუშების უზრუნველყოფას კეთილმოწყობილი ბინებით. საკმარისია ითქვას, რომ მუშების სახლების მშენებლობაზე გასულ წელს მილიონი მანეთი დაიხარჯა. აიგო 4-სართულიანი კეთილმოწყობილი სახლები. მუშა-მოსამსახურეთა ახალი სახლები უზრუნველყოფილია კანალიზაციით, წყალსადენით, ელექტროშუქითა და რადიოთი.

უახლოეს ხანში დასრულდება სამსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

დაპროექტებულია და მიმდინარე წლის მე-4 კვარტალში დაიწყება 12-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. სახლის პირველ სართულზე მოთავსდება მუშათა სასადილო. მშენებლობაზე მილიონნახევარი მანეთი დაიხარჯება.

მუშათა დასვენება. კომბინატს აქვს კეთილმოწყობილი კლუბი, სადაც კარგად არის დაყენებული საწერი მუშაობა. მომღერალთა გუნდში გაერთიანებულია 36 კაცი. გუნდის წევრები რაიონის კოლმეურნეობათვის ხშირად მართავენ სალამო-კონცერტებს.

ამას წინათ კომბინატის კლუბში გაიმართა დიდი ლიტერატურული სალამო.

განსაკუთრებით საინტერესოა ზაფხულის კვირადღე. ბოტანიკურ ბაღში იმართება გართობა და მასობრივი სეირნობანი. კომბინატელებს უყვარს ქალაქგარეთ გასვლა, ისინი ხშირად დადიან ანაკლიაში და ოჩამჩირეში ზღვაზე საბანაოდ.

გ. ნოდია,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

უზრუნველყოთ მარგანეცის ქალაქის მშრომელები ხილ-ბოსტნეულით

ჭიათურა ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი მსხვილი სამრეწველო ცენტრია. აქ ათასობით მაღაროელი და ინტელიგენტი ცხოვრობს, ბევრი საბავშვო დაწესებულებაა.

ჭიათურელი მშრომელები თავდადებულად მუშაობენ, პირნათლად ასრულებენ სახელმწიფო დავალებას, მშობლიურ მეტალურგიას აძლევენ იმდენ მარგანეცს, რამდენსაც იგი მოითხოვს.

ამასთანავე დღითიდღე იზრდება მარგანეცის ქალაქის მშრომელთა მოთხოვნილება, მათი მყიდველობითი უნარი. სავაჭრო ორგანიზაციების პირდაპირი მოვალეობაა მოამარაგონ მაღაროელები უხვი და მაღალხარისხოვანი სასურსათო პროდუქტებით, ხილ-ბოსტნეულით.

მაგრამ ჭიათურაში განსაკუთრებით მოუგვარებელია ხილ-ბოსტნეულით ვაჭრობა, რის გამო სამართლიან გულისტკივილს გამოთქვამენ მშრომელები. ქალაქში თითქოს არის ბოსტნეულის ორი სავაჭრო წერტი, მაგრამ მხოლოდ ფორმალურად. იქ ვერ ნახავთ კომბოსტოს, პამიდორს, კიტრს, კარტოფილს. მშრომელები იძულებული არიან მიმართონ ბაზარს, სადაც ხილ-ბოსტნეულს ყიდიან ქუთაისელები და წყალტუბოელები. სამწუხარო ის არის, რომ მათ შორის ბლომად არიან სპეკულანტები და გადამყიდველები, რომელთა წინააღმდეგ ძალიან სუსტად იბრძვის მილიცია და სხვა ადგილობრივი ორგანოები.

ბოსტნეულით უზრუნველყოფის საქმეში სავალალო მდგომარეობაა მუშათა სასადილოებში, აგრეთვე ქალაქის საზოგადოებრივი კვების ქსელსა და ჭიათურაში არსებულ ერთადერთ რესტორანში. იქ თითქმის არასოდეს არა აქვთ ბოსტნეული: კიტრი, პამიდორი, და სხვ., რაზეც დიდი მოთხოვნილებაა.

ამ საქმის მოგვარება ევალება მარგანეცის ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილებას და საქვაჭრობის ჭიათურის განყოფილებას. ჭიათურის მშრომელთა ხილ-ბოსტნეულით მომარაგების საქმეში ნაკლებ ინიციატივას იჩენენ როგორც აღნიშნული სავაჭრო ორგანიზაციები, ისე ჭიათურისა და საჩხერის რაიონების დამამზადებელი ორგანოები. ისინი თვითდინებას ეყრდნობიან და ელოდებიან განრიგით როდის მიიღებენ ხილ-ბოსტნეულს. აქვე უნდა ითქვას, რომ საჩხერის რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობა (სავანე, მერჯევი, საირხე, სხვიტორი, ჩიხა, ჭალა და სხვ.) მთლიანად ვერ იყენებს მებოსტნეობის განვითარებისათვის არსებულ შესაძლებლობებს, სათანადო ყურადღებას [illegible] მომსავლიან დარგს.

მარტო მარგანეცის ტრესტის მუშათა მომარაგებას განყოფილებამ წელს მუშათა სასადილოებისათვის და მაღაზიებში გასაყიდად უნდა შემოზიდოს 1.000 ტონა კარტოფილი და 1.200 ტონა ბოსტნეული, აქედან 400 ტონა კომბოსტო, 200 ტონა ხახვი, 150 ტონა კიტრი, 250 ტონა პამიდორი, 200 ტონა ნედლი ბოსტნეული და სხვ.

ასეთივე გეგმა ჰქონდათ შარშანაც, მაგრამ იგი თითქმის ჩაშალა. საჩხერისა და ჭიათურის რაიონებს სავალდებულო ჩაბარებით გასულ წელს ქ. ჭიათურისათვის უნდა მოეწოდებინათ სულ მცირე 110 ტონა კარტოფილი, მაგრამ მუშათა მომარაგების განყოფილებას ამ რაიონებიდან არც ერთი კილოგრამი კარტოფილი არ მიუღია, რადგან თვით კოლმეურნეობებს სათესლე კარტოფილს ყიდვაც კი დასჭირდათ.

ანალოგიური მდგომარეობაა წელსაც. დღემდე მიღებულია მხოლოდ ოთხი ტონა ბოსტნეული, რაც წვეთია ზღვაში. ქარელისა და ბორჯომის რაიონებიდან წელს მუშათა მომარაგების განყოფილებას უნდა მიეღო ათი ტონა ბოსტნეული, მაგრამ ივლისი გადის და არც ერთი კილოგრამი არ არის მიღებული. ამ საკითხზე არც აღნიშნული რაიონების მუშაკები და არც სავაჭრო ორგანიზაციები თავს მაინცდამაინც არ იწუხებენ. ეს მდგომარეობა კი გავლენას ახდენს მაღაროელთა კვებაზე.

აღსანიშნავია ერთი საკითხიც. ომამდე მარგანეცის ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილებას საჩხერის რაიონში და თვით ჭიათურაშიც ჰქონდა დამხმარე მეურნეობა, რომელიც რამდენიმე წლის წინათ გააუქმეს. აუცილებლად საჭიროა დაისვას საკითხი სათანადო ორგანოებში, რათა მუშათა მომარაგების განყოფილებას საჩხერის რაიონში კვლავ გამოეყოს ფართოები დამხმარე მეურნეობისათვის. ეს დიდად შეუწყობდა ხელს მაღაროელთა მომარაგებას ბოსტნეულით.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ წინათ თითქმის ყველა მაღაროსთან იყო პატარა დამხმარე მეურნეობა, მაგრამ ეს მეურნეობები რატომღაც აღარ არსებობენ. საქმისათვის სასარგებლო იქნებოდა მათი აღდგენა და გაფართოება.

მარგანეცის ქალაქის მშრომელთა ხილ-ბოსტნეულით მომარაგებაში საკავშირო ორგანიზაციებმა მეტი პასუხისმგებლობა, მოქნილობა და ინიციატივა უნდა გამოიჩინონ.

პ. ჭიოკაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ჩვენი გაზეთის მკითხველი ქალაქ გორიდან გვწერდა გორვაჭრობის № 3 მაღაზიის გამგეგამყიდველის ი. მამისთვალოვის მიერ ვაჭრობის წესების დამახინჯების შესახებ. წერილი ზომების მისადებად გადაეგზავნა გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს.

მიღებულია ცნობა იმის შესახებ, რომ საკითხი განიხილა საქართველოს კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტის ბიურომ. კომუნისტ ი. მამისთვალოვს ვაჭრობის წესების დამახინჯებისათვის დაედო პარტიული სასჯელი. იგი ჩამოყენებულია თანამდებობიდან.

საგაზეთო თემაზე

უკეთ გავაშუქოთ სოფლად პარტიული მუშაობის გარდაქმნა

დიდი და საპატიოა საბჭოთა პრესის როლი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის პარტიისა და მთავრობის ღონისძიებათა განხორციელების ბრძოლის საქმეში. საქართველოს კომუნისტური პარტიის ამას წინათ გამართულ პლენუმზე, რომელმაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგები განიხილა, ორატორები ლაპარაკობდნენ რაიონული პარტიული აპარატის გარდაქმნის საკითხებზე, იმაზე, რომ ეს გარდაქმნა ზოგან ჯერ კიდევ ნელა მიმდინარეობს.

— ახალ პირობებში მუშაობა, — აღნიშნავდნენ პლენუმის მონაწილენი, — არც ისე ადვილი და უბრალო საქმეა. ჩვენ გვიხდება სერიოზულად მოვიფიქროთ, თუ როგორ მოვაწყოთ ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა, როგორ დავეუფლოთ სწორი ხელმძღვანელობის მეთოდებს. ამ მხრივ აქტიური დახმარება უნდა გაგვიწიოს ჩვენმა პრესამ. გაზეთები არ უნდა დაკმაყოფილდნენ ეპიზოდური, შემთხვევითი გამოსვლებით, არამედ საჭიროა მათ ფართოდ გააშუქონ სოფლად პარტიული მუშაობის გარდაქმნა, პირუთვნელად ამხილონ არსებული ნაკლოვანებანი და საქმის ცოდნით წერონ მოწინავე გამოცდილების შესახებ.

ბევრი გაზეთი ცდილობს პასუხი გასცეს ამ მოთხოვნებზე, დაეხმაროს აგდილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს პარტიის სასოფლო რაიკომების მუშაობის გარდაქმნაში. მაგალითად, გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“ თავის ფურცლებზე სისტემატურად ბეჭდავს რაიონული კომიტეტების მდივნებისა და ინსტრუქტორების, პირველადი ორგანიზაციების მდივნების სტატიებს, აქვეყნებს წერილებს და კორესპონდენციებს სოფლად პარტიული მუშაობის გარდაქმნის საკითხებზე. ამ წერილებიდან და კორესპონდენციებიდან ზოგიერთი საქმის ცოდნითა და დამაჯერებლად არის დაწერილი.

აპრილში „საბჭოთა ოსეთმა“ დაბეჭდა გ. ხაჩატუროვისა და ვ. ჩიხლაძის წერილი სათაურით „რაიკომის ინსტრუქტორი“. წერილის ავტორები პარტიის სასოფლო რაიკომის რამდენიმე ინსტრუქტორის მაგალითზე გვიჩვენებენ, თუ როგორ მუშაობს რაიონული კომიტეტის მუშაკთა ჯგუფი მტს-ის ზონაში, როგორ ეხმარება იგი კოლმეურნეობასა და პირველადს ორგანიზაციას.

როგორც კი ქსუისის მტს-ის ზონაში პარტიის რაიკომის მუშაკთა ჯგუფი შეიქმნა, რაიკომის ინსტრუქტორი ლ. ხუბულოვი მივიდა სოფელ არცევის ბალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში და შეუდგა საკოლმეურნეო წარმოების შესწავლას. მისი დახმარებით განმტკიცდა საწარმოო ბრიგადებისადმი ხელმძღვანელობა, ბრიგადირებად შეარჩიეს გამოცდილი, საქმის მცოდნე და შრომისმოყვარე ადამიანები, რომლებსაც აქვთ კოლმეურნეებთან ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობის უნარი. პარტიულმა ორგანიზაციამ და კოლმეურნეობის გამგეობამ განახორციელეს ღონისძიებანი შრომის ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად, საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შემჭიდროებულ ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩასატარებლად. ეს საკითხი განიხილეს ოია პარტიულ კრებაზე. პარტიული კრება გულდასმით იქნა მომზადებული. კომუნისტი ბრიგადირები, აგრონომი, ზონის ინსტრუქტორი და პარტიული ორგანიზაციის მდივანი დაწვრილებით გაეცნენ კოლმეურნეობაში საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადების მდგომარეობას, მოეთათბირენ კოლმეურნეებს, რომლებმაც ბევრი საყურადღებო წინადადება წამოაყენეს.

ასე მომზადებულმა კრებამ კომუნისტთა მაღალი აქტივობით ჩაიარა. კომუნისტები სათავეში ჩაუდგნენ კოლმეურნეთა ბრძოლას საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმატებით ჩატარებისათვის. მოკლე ხანში დამზადდა 110 კვალსათბური და 10.000 მიწანამომპალის ქოთანი ბოსტნეულის ჩითილების გამოსაყენებლად.

პარტიულმა ორგანიზაციამ და კოლმეურნეობის გამგეობამ მიიღეს ზომები შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად. შარშან ზოგიერთ კოლმეურნეს, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ერთ ნაწილს მონაწილეობა არ მიუღია საკოლმეურნეო შრომაში. ეს საკითხი ჯერ პარტიულ კრებაზე განიხილეს, ხოლო შემდეგ ახალგაზრდობის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მონაწილეობის საკითხი ოია კომკავშირული კრების მსჯელობის საგანი გახდა. აგიტატორებმა გამართეს საუბრები შრომის დისციპლინაზე, საბჭოთა პატრიოტიზმის შესახებ. ყოველივე ამის შედეგად კოლმეურნეობაში საგრძნობლად განმტკიცდა შრომის დისციპლინა, გაძლიერდა კოლმეურნეთა აქტივობა და შრომითი ენთუზიაზმი.

მაგრამ „საბჭოთა ოსეთის“ ფურცლებზე დაბეჭდილ ყველა წერილში საკმაოდ როდია მოყვანილი პარტიული მუშაობის დამახასიათებელი ფაქტები და მაგალითები. ზოგიერთი წერილი მოკლებულია კონკრეტულობას და სწორად ვერ ასახავს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებას. გაზეთში გამოქვეყნებული ბევრი მასალა ვერ იძლევა იმის ნათელ სურათს, თუ როგორ მიმდინარეობს რაიონული პარტიული აპარატის გარდაქმნა.

მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ საქართველოს კომპარტიის ლენინგორის რაიკომის ინსტრუქტორის ლ. კაშმაძის წერილი, რომელიც „საბჭოთა ოსეთის“ ივნისის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა. აი როგორი საერთო სიტყვებით აგვიწერს იგი თავის საქმიანობას: „მჭიდრო კავშირი დავამყარე პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებთან, მათ მოადგილეებთან და პარტბიუროს წევრებთან. ვეხმარები მათ კომუნისტთა და უპარტიოთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მოწყობაში. ჩემს ზონაში მომუშავე ყველა კომუნისტს მიცემული აქვს პარტიული დავალება. პარტიულ კრებებზე მიღებული დადგენილებები უფრო კონკრეტული და საქმიანი გახდა, უკეთესად მოეწყო მუშაობა მათი შესრულებისათვის. ამოქმედდნენ პარტიული ჯგუფები, გაუმჯობესდა კედლის გაზეთების მუშაობა“.

მთავარი ნაკლი ლ. კაშმაძის წერილისა ის არის, რომ მასში კონკრეტული მაგალითებით არ არის ნაჩვენები პარტიული ხელმძღვანელობის შინაარსი და მეთოდები, ფაქტებით არ არის დასურათებული, თუ რას ნიშნავს სინამდვილეში ადამიანებთან ცოცხალი მუშაობა. გაზეთის მკითხველები მოითხოვენ არა საერთო სიტყვებს, არამედ იმის ღრმად განმარტებას და ჩვენებას, თუ რას ნიშნავს პრაქტიკულად მასებთან „მჭიდრო კავშირის დამყარება“, „პარტიული ორგანიზაციებისათვის დახმარება“, „შესრულების უკეთ მოწყობა“, „პარტიული ჯგუფების ამოქმედება“ და „კედლის გაზეთების მუშაობის გაუმჯობესება“.

სამწუხაროდ, ამ მხრივ კიდევ უფრო სცოდავს საოლქო გაზეთი „სოვეტსკაია აბხაზია“. ისეთ წერილშიც კი, რომელსაც ასეთი დამახასიათებელი სათაური აქვს — „რაიკომის ინსტრუქტორები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას“, არსებითად ცოტაა ნათქვამი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შინაარსსა და მეთოდებზე, ხოლო საოლქო გაზეთი „საბჭოთა აჭარა“ საერთოდ ძალიან ცოტას წერს რაიკომების აპარატის გარდაქმნაზე. მიმდინარე წლის ექვს თვეში რედაქციამ რაიონული კომიტეტის ინსტრუქტორთა საქმიანობაზე მხოლოდ ორი წერილი გამოაქვეყნა. მაგრამ ამ წერილებშიც ბევრია ზოგადი ფრაზები.

გაზეთების მოვალეობაა ღრმად შეისწავლონ პარტიული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკა და ფართოდ აჩვენონ დადებითი გამოცდილება. ამასთან ერთად საჭიროა დროზე შევამჩნიოთ და ულმობლად გამოვამჟღავნოთ არსებული ნაკლოვანებანი. ეს მით უფრო საჭიროა, რომ პარტიის ზოგიერთი რაიკომის მუშაობის გარდაქმნა ჯერ კიდევ ნელა მიმდინარეობს და ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს. მწვავედ აკრიტიკებენ რაიკომების ახლებურად მუშაობის ნაკლოვანებებს, მაგალითად, აფხაზეთის საოლქო გაზეთები. გაზეთი „სოვეტსკაია აბხაზია“ ივლისის პირველ ნახევარში წერდა პარტიის გუდაუთის რაიკომის ინსტრუქტორის შ. სიგუას სუსტ მუშაობაზე. ზონის ინსტრუქტორი ღრმად ვერ ჩასწვდა საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას. რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი დ. აბშილავა ახალგაზრდა მუშაკია და საკმაო გამოცდილება არა აქვს. შ. სიგუამ არ გითვალისწინა ეს გარემოება და მას პრაქტიკული, საქმიანი დახმარება არ გაუწია. დ. აბშილავამ არ იცის როგორ შეადგინოს პარტიული ორგანიზაციის სამუშაო გეგმა. მის მიერ შედგენილ გეგმაში მხოლოდ ერთი პუნქტია — პარტბიუროს სხდომის მოწვევის შესახებ. ცუდად მზადდება და ტარდება პარტიული კრებები. კრებებზე ხშირად 4-5 საკითხს ერთად განიხილავენ. პარტბიურო არ ზრუნავს ძალების სწორად განაწილებაზე. ბრიგადებში პარტიული ჯგუფები მხოლოდ ფორმალურად არის შექმნილი.

„ინსტრუქტორი ასევე სუსტად ეხმარება სხვა კოლმეურნეობათა პარტორგანიზაციების მდივნებს, — წერს გაზეთი, — მაგრამ ამას ყურადღებას არ აქცევს რაიკომის მდივანი მტს-ის ზონაში ვ. აიბა. იგი ნაკლებად არის დაინტერესებული კოლმეურნეობებში პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობით“.

სოფლად პარტიული მუშაობის ახლებურად გარდაქმნის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა კრიტიკას სერიოზულ ყურადღებას აქცევს საოლქო გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“. რედაქცია სწორად მოიქცა, როცა დროულად გამოეხმაურა ლენინგორის მტს-ის პარტბიუროს მიერ დაშვებულ შეცდომას და გაკიცხა იგი. მტს-ის პარტიული ორგანიზაცია საერთო-სარაიონო „მასშტაბმა“ გაიტაცა და მხედველობიდან გამორჩა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის ბრძოლა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მაღალი ხარისხისათვის, მექანიზატორთა შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლა და სხვ. კომუნისტ-მექანიზატორთა კრებაზე განიხილეს ასეთი საკითხი — „რაიონში პირუტყვის გამოზამთრების მდგომარეობის შესახებ“, რითაც აშკარად გადააჭარბეს უფლებას, რომელიც სკკპ წესდებით მტს-ის პარტიულ ორგანიზაციას აქვს მინიჭებული. გაზეთმა სწორად და დროზე ამხილა მტს-ის პარტიული ორგანიზაციის ეს არასწორი მოქმედება და ამით დაეხმარა მუშაკებს შეცდომის გამოსწორებაში.

სოფლად პარტიული მუშაობის გარდაქმნის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე სისტემატურად წერს აგრეთვე საოლქო გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი“. რედაქცია მართებულად აკრიტიკებს პარტიის სასოფლო რაიკომების ინსტრუქტორთა მუშაობის ნაკლოვანებებს. მაგრამ ცუდია ის, რომ გაზეთი ამ ნაკლოვანებებს არ უპირისპირებს მოწინავე გამოცდილებას, თითქმის არაფერს წერს სწორი ხელმძღვანელობის ცოცხალ მაგალითებზე. მტს

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნის წინ

მახარაძის რაიონი—გამოფენის მონაწილე

★ ★ ★ ★ ★ ★

კვლავ მოსკოვში

სიხარულით ვიგონებ 1934 წელს, როცა ახალგაზენებულ ჩაის პლანტაციებში პირველად დავიწყე მუშაობა. სულ მალე ავითვისე კრეფის ტექნიკა და 1938 წლისათვის მოწინავე გავხდი. მოპოვებული წარმატებანი გახდა იმის საფუძველი, რომ 1939-40 წლების სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე ვყოფილიყავი.

გამოფენა გახდა ჩემი სკოლა ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. ჩვენი ხალხის დიდი სამამულო ომის პერიოდში სამშობლოს საკეთილდღეოდ სულ უფრო მეტ ჩაის ფოთოლს ვკრეფდი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 1952 წელი. რგოლმა 3,18 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოკრიფა 7.160 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ხოლო 1953 წელს, მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა, თვითეულ ჰექტარზე მივიღეთ 6.705 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ამ წარმატებებით რგოლი და პირადად მე სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე ვართ ფართო ჩვენებით.

ჩვენი რგოლი სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესის კოლმეურნეობის იმ რგოლთან, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი გ. ხარამიძე ხელმძღვანელობს. ეს შეჯიბრება აღგვაფრთოვანებს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. ვიბრძვით ჰექტარზე 9.000 კილოგრამი ჩაის მოყვანისათვის.

შრომა ჩვენს ქვეყანაში სახელისა და დიდების საქმეა. იგი აკეთილშობილებს ადამიანს. მადლობა ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას ასეთი საამური ცხოვრების შექმნისათვის.

დარეჯან ტაკიძე,
სოციალისტური შრომის გმირი, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობის მერგოლური.

საპატიო უფლება

1948 წელს ჩვენმა ბრიგადამ 17,6 ჰექტარზე მოკრიფა 65.153 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, 1950 წელს — 90.324 კილოგრამი, 1951 წელს — 99.090 კილოგრამი. 1952 წელს მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოსავალმა შეადგინა 5.049 კილოგრამი. ამ წარმატებით მომენიჭა საპატიო უფლება — გავხდი გამოფენის მონაწილე. ბედნიერი ვარ, რომ მოსკოვში გამოფენის გახსნას დავესწრები.

წარმატებას ვაღწევ იმით, რომ კარგად ვუვლი თვითეულ ბუჩქს. ყველა საუშაოს დროზე ვასრულებ. მუშაობაში ვხერგავ მეცნიერების მიღწევებს. ვუყურებინო ნოვატორი ადამიანების გამოცდილებას. სახელმოხვეჭილი მეჩაიეები ნადია პაშინკინა, ტონია სურუშკინა, ვერა და მარიამ მენოიანები და მრავალი სხვა დღეში კრეფენ 45-70 კილოგრამ ჩაის ფოთოლს.

გამოფენაზე მიღებულ გამოცდილებას სრულყოფილად გამოვიყენებ შემდგომ მუშაობაში და ვიბრძოლებ იმისათვის, რომ 1955 წელსაც მოვიპოვო გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლება.

ვ. ნაცვალაძე,
ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.



გამოფენაზე უკრაინელ მეგობრებს ვნახავთ

დიდი უკრაინელი ხალხისა და ქართველი ხალხის მეგობრობას ვრცელი ისტორია აქვს. ეს მეგობრობა გვაკავშირებს ჩვენ, შრომელ კოლმეურნეებს, გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის წევრებთან. ეს დიდი მეგობრობა 16 წლის წინათ დაიწყო.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის პერიოდში ახალი ძალით გამოვლინდა უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობა და უსაზღვრო პატრიოტიზმი. ჩვენ ერთმანეთი შევიყვარეთ ბრძოლაში და შრომაში, ძმური ხელი გავუწოდეთ ერთმანეთს. ჩვენ წილად გვხვდა ბედნიერება მონაწილეობა მიგვიღო რუსეთთან უკრაინის შეერთების სამასი წლისთავის დიად ეროვნულ დღესასწაულში.

მიმდინარე წლის იანვარში უკრაინელი მეგობრები გვეწვივნენ კოლმეურნეობაში. დელეგაციას ხელმძღვანელობდა გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე ს. სლიშიკი. კვლავ ახალი ძალით გავაჩაღეთ შეჯიბრება და პირობა დავდეთ წარმატებებით შევხვედროდით ერთმანეთს გამოფენაზე. ჩვენი კოლმეურნეობა ფართო მაჩვენებლებით მიდის გამოფენაზე ჩაის მოსავლიანობის გადიდების დარგში. 1953 წელს კოლმეურნეობამ 172 ჰექტარი სრულმოსავლიანი ჩაის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე 5.049 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოიყვანა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.600 კილოგრამისა.

გამოფენის მონაწილეობის უფლება მოიპოვა მესუთე-ბრიგადამ, რომელსაც ი. კვაჭანტირაძე ხელმძღვანელობს. ბრიგადამ შარშან მოკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარა 107 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად 98 ტონისა. საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 5,5 ტონა ჩაი. საამაყო მაჩვენებლები აქვს ბრიგადის იმ რგოლს, რომელსაც ცნობილი მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი ტატიანა ჩხაიძე ხელმძღვანელობს. წელს მას მოკრეფილი აქვს 16 ტონა ჩაის ფოთოლი, ხოლო პირადად მერგოლურს ტატიანა ჩხაიძეს — 3.000 კილოგრამი.

კოლმეურნეობამ წელს უნდა მოკრიფოს 1.076 ტონა ჩაის ფოთოლი. დღემდე მოკრეფილია 610 ტონაზე მეტი.

გამოფენაზე მნახველები დაათვალიერებენ ჩვენი კოლმეურნეობის წარმატებათა ამსახველ სტენდს. აქ შეხვდებით უკრაინელ მეგობრებს, რომლებსაც გავაცნობთ ჩვენს გადაწყვეტილებას—სრულმოსავლიანი ჩაის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანოთ სულ მცირე 6.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

მ. ორაგველიძე,
სოციალისტური შრომის გმირი, მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ციფრები და ფაქტები

⊙ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში წლითიწლობით იზრდება განუყოფელი ფონდი. 1940 წელს იგი შეადგენდა 2.750.580 მანეთს, 1950 წელს იყო 15.560.600 მანეთი, ხოლო 1953 წელს — 20.288.600 მანეთი.

⊙ 1953 წელს კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა 10.366.700 ათას მანეთს მიაღწია, 1940 წელს კი 2.594.900 ათასი მანეთი იყო.

⊙ სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში 1940 წელს განუყოფელ ფონდში ჰქონდათ 2.743.100 მანეთი, 1950 წელს — 14.577.200 მანეთი, 1953 წელს კი — 18.952.300 მანეთი.

⊙ რაიონის კოლმეურნეობათა მთლიანი შემოსავლის 65-89 პროცენტს ჩაით მიღებული შემოსავალი შეადგენს. 1953 წელს საერთო შემოსავლიდან ჩაის შემოსავალი უდრიდა 88,9 პროცენტს.

◁ ▷

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში ღირსშესანიშნავი მოვლენაა საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. იგი თვალსაჩინო როლს შეასრულებს სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და შეძენილი მდიდარი გამოცდილების ფართოდ გავრცელების საქმეში.

გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლება მოიპოვა ეს რაიონი გამოფენის მონაწილეა ფართო ჩვენებით. მახარაძის რაიონის კოლმეურნეთა წარმატებებზე, მუშაობის გამოცდილებასა და ახალ კერსპექტივებზე მოგვითხრობს «კომუნისტის» ამ გვერდზე დაბეჭდილი მასალები.

◁ ▷

მეცნიერ მუშაკთა წვლილი

ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი ერთადერთია საბჭოთა კავშირში. იგი 25 წლის მანძილზე ეწევა მუშაობას ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების ძირითად აგროტექნიკურ ღონისძიებათა დამუშავების, მათი მოსავლიანობის გადიდებისა და ნედლეულის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებზე.

წარმოებასთან მჭიდრო კავშირით ინსტიტუტმა მეცნიერულად დაამუშავა სუბტროპიკული კულტურებისათვის ნიადაგის პირველადი დამუშავების წესები, მცენარეთა ოპტიმალური სიხშირე-გაადგილების, მწკრივთა შორის ნიადაგის დამუშავების, კრონის მოვლისა და ექსპლატაციის საკითხები. დამუშავებულია აგრეთვე მცენარის დაავადებათა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი.

სტალინური პრემიის ლაურეატმა პროფესორმა ქ. ბახტაძემ მსოფლიოში პირველმა გამოიყვანა ჩაის ახალი ჯიშები — „ქართული № 1“ და „ქართული № 2“. ეს ჯიშები გაცილებით უფრო მეტ მოსავალს იძლევიან და მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებით ხასიათდებიან. პროფესორი ქ. ბახტაძე განაგრძობს ნაყოფიერ მუშაობას.

მრავალი წლის ცდების შედეგად დადგენილია სხვადასხვა ნიადაგობრივ და კლიმატურ პირობებში ჩაის პლანტაციების რიგთაშორისების ყოველ წელიწადს გადაუბარავად დატოვების უპირატესობა. ამ ღონისძიების განხორციელებით 10-12 პროცენტამდე იზრდება ჩაის პლანტაციების მოსავლიანობა და თვითეულ ჰექტარზე თავისუფლდება 25 კაცამდე.

ინსტიტუტის მიერ რეკომენდებული ჩაის პლანტაციების საგაზაფხულო და საზაფხულო გასხვლის მორიგეობის სისტემა წელს პირველად დაინერგა წარმოებაში. ეს ღონისძიება ხელს უწყობს ფოთლის თანაბრად შემოსვლას, აუმჯობესებს ნედლეულის ხარისხს.

ჩაის პლანტაციებში ნასხლავი მასის მწკრივთა შორის დატოვება აუმჯობესებს ჩაის მცენარის კვების რეჟიმს, რითაც მოსავლიანობა 15 პროცენტით იზრდება.

დადგენილია აგრეთვე ახალგაზრდა ციტრუსების მწკრივთა შორის მრავალწლიანი ნარევბალახების თესვის უპირატესობა და სხვა ღონისძიებანი.

მეცნიერ მუშაკთა კოლექტივი კარგად გამოიყენებს სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წარმოდგენილ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის მდიდარ მიღწევებს, კიდევ უფრო გააძლიერებს სამეცნიერო-საკვლევ მუშაობას და ახალ მიღწევებს მოიპოვებს საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ი. გამყრელიძე,
ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

★

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მახარაძის რაიონიდან გაემგზავრა გამოფენის მონაწილეთა ერთი ჯგუფი. **სურათზე** (მარცხნიდან): დ. ნაცვალაძე — ნასაკირალის ჩაის ფაბრიკის მთავარი ტექნოლოგი, ი. გამყრელიძე — ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი, ვ. მოსაშვილი — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, ა. ტაკიძე — ნატანების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, კ. თავაძე, ი. გორგილაძე — ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირები, ვ. ნაცვალაძე — ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი. ფოტო ვ. გინზბურგისა.

კომუნისტები შრომის ავანგარდში

კოლმეურნეობისა და მისი მოწინავე ადამიანების მონაწილეობა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე სახელისა და ღირსების საქმეა. მელექედურელმა კოლმეურნეებმა ეს საპატიო უფლება თავდადებული შრომით მოიპოვეს. ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს კოლმეურნეობის კომუნისტებმა. პარტიული ორგანიზაცია მხარში უდგას კოლმეურნეობის გამგეობას და ერთიანი ძალით აღწევენ წარმატებებს.

41 კომუნისტიდან 36 ფიზიკურად მუშაობს. ისინი გადამწყვეტ უბნებზე არიან განაწილებული. 6 კომუნისტი ბრიგადირია, 9 კომუნისტი — მერგოლური. კომუნისტები მუშაობენ მეცხოველეობის ფერმაშიც.

ჩაის მოსავლიანობის გადიდებაში თავი ისახელა მესამე ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი ნ. ხინთიბიძე ხელმძღვანელობს. ის ბრიგადა, რომელსაც ი. ღლონტი ხელმძღვანელობს, მილიონერია. ჩაის ფოთლის კრეფის დაგალებანი გადაჭარბებით გაანაღდეს კომუნისტმა მერგოლურებმა ლიდა მგელაძემ, პეტრე ღლონტმა.

მოწინავე ადამიანთა გამოცდილებას ხშირად განვაზოგადებთ პარტიულ კრებებზე და ბიუროს სხდომებზე, ვსახავთ კონკრეტულ ღონისძიებებს და გამგეობას ვეხმარებით გეგმის შესრულებაში.

საკმარისია ითქვას, რომ წელს მარტო თოთხმეტმა კომუნისტმა მეჩაიემ მოკრიფა 28.500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. კომუნისტებს ციცინო ხინთიბიძეს, სონია მახარაძეს, ვარდო ანდღულაძეს, სანდრო მიქაძეს, ვიქტორ ხინთიბიძეს, ვალერიან ჩხაიძეს წელს გამომუშავებული აქვთ 250 შრომადღე თვითეულს.

დიდ სიხარულს განვიცდი, რომ გამოფენის მონაწილე ვარ და შესაძლებლობა მაქვს დავესწრო გამოფენის გახსნას ჩვენი სამშობლოს გულში — მოსკოვში. იქ გავეცნობი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონის კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციების მუშაობას და მათ გამოცდილებას გამოვიყენებ ჩემს შემდგომ მუშაობაში.

ნ. ღლონტი,
მახარაძის რაიონის სოფელ მელექედურის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი.

—⊙—

ციფრები და ფაქტები

⊙ რაიონის სკოლებში სწავლობს 12.564 ბავშვი. მათი აღზრდა აბარია 934 მასწავლებელს.

⊙ რაიონს აქვს 2 კულტურის სახლი, 1 კულტურისა და დასვენების პარკი, 1 მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, 20 სასოფლო კლუბი, 12 სასოფლო და 2 საქალაქო საბავშვო ბიბლიოთეკა.

⊙ 1953 წელს რაიონში გამოწერილი იყო „კომუნისტის“ 5.200 ეგზემპლარი, 1.300 ცალი „ზარია ვოსტოკა“, 1.815 ცალი „ახალგაზრდა კომუნისტი“, 200 ცალი „პრავდა“, 60 ცალი „იზვესტია“ და 8.325 ცალი სხვადასხვა ჟურნალი.

⊙ რაიონში არის 3.021 რადიოწერტილი. თითქმის ყველა კოლმეურნეობა რადიოფიცირებულია.

⊙ რაიონის კოლმეურნეობებში შარშან დაირგო 89,5 ჰექტარი ლიმონი. ფორთოხალი დარგულია 70 ჰექტარზე, ხოლო რამდენიმე ასეულ ჰექტარზე — მანდარინი.

მეტი ციტრუსები

ციტრუსოვანთა ბაღნარები ჩემს ყურადღებას პატარაობიდანვე იპყრობდა. ვცდილობდი ახლოს გავცნობოდი ამ კულტურას, და 1931 წელს ურეკის ციტრუსოვანთა მეურნეობაში მივედი სამუშაოდ. აქ პირველად მუშა ვიყავი. ცოტა ხანში უფროს მუშად დამაწინაურეს. ამავე დროს ვსწავლობდი მაშინ აქ არსებულ სასოფლო-სამეურნეო სკოლაში.

დაიწყო ჩემი მუშაობის მეორე ეტაპი. 1934 წლიდან ამავე მეურნეობის

სანერგეში ტექნიკოსად დამნიშნეს. ვმუშაობდი ნერგეზის გამოყვანაზე, მყნობაზე. მიზნად დავისახე მყნობის ტექნიკის გაუმჯობესება.

მყნობის დაწყებამდე გულდასმით ვამზადებდი ციტრუსოვანი კულტურების კალმებს, რომლებზეც დიდად არის დამოკიდებული ნამყენის შეხორცება და ხარისხი. სადედეებად ვარჩევდი საუკეთესო ჯიშის მსხმოიარე ხეებს. ლიმონებიდან ვიღებდი „ახალ ქართულს“, „ვილაფრანკას“ და „მეიერს“; ფორთოხლებიდან — ჭიანს (ნაველი), წითელხორციანს, ჰამლინს და ადგილობრივი ჯიშების საუკეთესო ფორმებს. მანდარინებიდან კი ვამყნიდი ქართულს (უნშიუ) და საადრიოს (კავანოვასეს). სადედე ხეები უნდა ხასიათდებოდეს კარგი მსხმოიარობით. საკალმე ტოტები კარგად უნდა იყოს მომწიფებული. კალამი უნდა აიჭრას მაშინ, როცა ტოტი პირველ ზრდას დაამთავრებს და იწყებს მეორე ზრდას. დაკუთხული და წვრილი ტოტები საკალმედ არ გამოდგება. კალმების აჭრა უმჯობესია დღის მეორე ნახევარში. დიდი მნიშვნელობა აქვს კვირტის სწრაფად და მოხერხებულად აჭრას. კვირტით წესიერად მყნობას.

ამრიგად, შევძელი მიმეღწია წარმატებისათვის. 1937 წელს სეზონში დავამყენი 97.000 ძირი ციტრუსი. დღიურად დამყნობილმა შეადგინა 3.500 ძირი. მაგრამ ეს ზღვარი როდი იყო. 1938 წელს ციტრუსების მყნობის რეკორდი დავამყარე. ერთ დღეს დავამყენი 5.745 ძირი.

სანერგე მეურნეობა გაფართოვდა და ღავნერგეთ კომპლექსური აგროტექნიკა. იგი გავხადეთ ყველა სანერგისათვის ხელმისაწვდომი. სანერგეში მივაღწიეთ ნამყენის 85 პროცენტზე მეტის გადარჩენას.

მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობით კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა ციტრუსოვანთა მეურნეობის მუშაობა. მე დამაწინაურეს ურეკის ციტრუსების მეურნეობის დირექტორად. მთელი მონდომებით, გამოცდილების გამოყენებით ვიზრძვი ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. ამჟამად ვმუშაობ ყინვაგამძლე ლიმონის გამოყვანის საკითხებზე. მაქვს ცდები. პირველმა ცდებმა კარგი შედეგი გვიჩვენა.

ამ მუშაობაში ენერგიას მმატებს ისიც, რომ წელს კვლავ გავხდი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე. პირობას ვიძლევი ციტრუსოვანთა კულტურების განვითარების დარგში შეძენილი გამოცდილების გამოყენებით ახალ წარმატებას მივაღწიო.

შ. გოგუაძე,
ურეკის ციტრუსოვანთა მეურნეობის დირექტორი.

◁ ▷



აღმავლობის გზაზე

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მთლიანად იცვალა სახე მახარაძის რაიონმა. მნახველის გულს ახარებს სუბტროპიკულ კულტურათა ბაღნარში მჩქეფარე, შემძლებული საკოლმეურნეო ცხოვრება. საითაც გაიხედავთ, თვალწინ გადაგეშლებათ ჩაის, ციტრუსების ვრცელი პლანტაციები — ჩვენი სამშობლოს სიამაყე და დიდება.

ჩვენს რესპუბლიკაში დამზადებული მთელი ჩაის ნედლეულის 22 პროცენტს მარტო ეს რაიონი იძლევა. ეს სიმდიდრე თავმოყრილია კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. თუ როგორ გაიზარდა რაიონის ეკონომიკა, საკმარისია ითქვას, რომ რაიონის ოცდათერთმეტივე კოლმეურნეობა მილიონერია. ბევრი მათგანის შემოსავალი რამდენიმე მილიონ მანეთს შეადგენს. თუ 1940 წელს თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიღებული იყო 1.822 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, 1953 წელს მოსავალმა 3.605 კილოგრამს მიაღწია. სახელმწიფოს მახარაძელმა მეჩაიეებმა ჩააბარეს 21.929 ტონა ჩაის ფოთოლი. კოლმეურნეებმა მარტო პრემია-დანამატის სახით 3.752.534 მანეთი მიიღეს.

საკოლმეურნეო შრომამ შექმნა ხვავი და ბარაქა. სოფლები დამშვენებულია ლამაზად ნაშენი ოდა-სახლებით, ყოველი სოფელი რადიოფიცირებულია. თითქმის ყველა სოფელი გაბრწყინებულია ილიჩის ნათურებით. ახალი ტექნიკა შეიჭრა სოფლად. მინდვრად გუგუნებენ სხვადასხვა მარკის მძლავრი ტრაქტორები. ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში მექანიზებულია მთელი რიგი სამუშაოები, მექანიზებული ხდება სიმინდის თესვა და დამუშავება. შარშან მახარაძის მტს-მა სატრაქტორო სამუშაოთა დაკვალება 117 პროცენტით გაანაღდა. თუ 1946 წელს თვითეული 15-ძალიანი ტრაქტორის დატვირთვა 287 ჰექტარს შეადგენდა, 1953 წელს მან 414 ჰექტარს მიაღწია.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ მტს-ში სამუშაოდ მოვიდა 38 აგრონომი, 4 ზოოტექნიკოსი, 2 ვეტფერშალი, 8 ინჟინერ-მექანიზატორი და სხვა სპეციალისტები. მეტი ენერგიის მიცემა იწყეს საკოლმეურნეო ელექტროსადგურებმა.

ხალხთა მეგობრობის დიადი დროშით უფრო შესანიშნავი, სახალისო გახდა კოლმეურნეთა შრომა, მისი შედეგები. სოფელ შრომის კოლმეურნეთა შეჯიბრებამ გენიჩესკელ კოლმეურნეებთან ფართო ხასიათი მიიღო. მახარაძის რაიონი შეჯიბრებაშია ჩაბმული გენიჩესკის რაიონთან. ნატანებელი კოლმეურნეები ეჯიბრებიან სომხეთის სსრ ჰოქტემბერიანის რაიონის სოფელ ნალბანდიანის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს. ეს შეჯიბრება და დიადი მეგობრობა სასახელოდ გრძელდება.

რაიონის წარმატებებზე მეტყველებს ისიც, რომ მოწინავე ადამიანებმა, სოფლის მეურნეობის ნოვატორებმა დაიმსახურეს მთავრობის უმაღლესი ჯილდოები. რაიონში არის 104 სოციალისტური შრომის გმირი, 152 ლენინის ორდენოსანი, 380 შრომის წითელი დროშის ორდენოსანი. სულ მთავრობის ჯილდოები მიღებული აქვს 1.229 კაცს. ნატანებელი სოციალისტური შრომის გმირი ლუდმილა ხურციძე დაჯილდოებულია ლენინის მეორე ორდენით, ასევე ლენინის მეორე ორდენი დაიმსახურეს ლოლა გოგოტიშვილმა, როზა დარჩიამ და ზინა ცხომელიძემ.

შემძლებული, კულტურული ცხოვრება ჩქეფს რაიონში. დამახასიათებელია ცნობილი ნოვატორი მეჩაიეს დარეჯან ტაკიძის ცხოვრების გზა.

— ძველად ღარიბად ვცხოვრობდით, — ამბობს დარეჯანი, — მამა იმაზე ფიქრობდა, როგორ და რა საშუალებით ეშოვნა ლუკმაპური. მიწა, რომელსაც დღედაღამ თავს დასტრიალებდა, სულ მცირე მოსავალს იძლეოდა. კულტურულ ცხოვრებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. რა მალე შეიცვალა ყოველივე ეს. საკოლმეურნეო წყობილებამ ბედნიერება მოგვიტანა. ჯერ კიდევ 1950 წელს მე და ოჯახის წევრებმა გამოვიმუშავეთ 1.023 შრომადღე. მივიღეთ 46.372 მანეთი ფულად და 4.961 კილოგრამი მარცვალი. ეს შემოსავალი უფრო გადიდდა შემდგომ წლებში. ახლა გვაქვს ორსართულიანი ოდა-სახლი. კულტურულად ვართ მოწყობილი. ჩემი კარგი მასწავლებელი, მეგობარი გახდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთი, რადიომიმღები და სხვა...

ასე ამბობს ახლა ყოველი კოლმეურნე, მუშა და მოსამსახურე. მშრომელთა ბავშვები უზრუნველყოფილი არიან კეთილმოწყობილი სკოლებით, სადაც სწავლობს 12.564 ბავშვი. მათი აღზრდა აბარია 934 მასწავლებელს. ახლა რაიონს მომსახურებას უწევენ ჯანმრთელობის შესანიშნავი კერები 135 ექიმით, სამასზე მეტი საშუალო განათლების მქონე მედიცინის მუშაკით.

შემძლებულ, კულტურულ ცხოვრებაზე ლაპარაკობს ისიც, რომ ამჟამად რაიონში არის ავტომანქანები — 8 „ზიმი“, 74 „პობედა“, 335 „მოსკვიჩი“.

და ეს რაიონი დამსახურებულად მიდის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ფართო ჩვენებით. რაიონმა ჩაის გარდა სხვა დარგებშიც მოიპოვა წარმატება. შარშან მახარაძელმა მეაბრეშუმეებმა გამოიყვანეს 4.396 კოლოფი თესლი და თვითეულ კოლოფზე მიიღეს 47,7 კილოგრამი პარკი, აგრეთვე გადაჭარბებით შეასრულეს მეცხოველეობის განვითარების გეგმები.

აი ისინი, რომლებიც გამოფენაზე ფართო ჩვენებით მიდიან: სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა და მისი თავმჯდომარე მ. ორაგველიძე, აგრონომი გ. მეგრელიშვილი. ამ კოლმეურნეობამ 172,3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 5.078 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ბრიგადირმა კ. გორგილაძემ 14,74 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.420 კილოგრამი ჩაი, ბრიგადირმა ი. კვაჭანტირაძემ — 17,29 ჰექტარ ფართობზე საშუალოდ 5.943 კილოგრამი ჩაი.

გამოფენის ფართო ჩვენებით მონაწილენი არიან სოფელ ნატანების კოლმეურნეობა და მისი მოწინავე ადამიანები — კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. წითლიძე, ბრიგადირები კ. თავაძე და ი. გორგილაძე, მერგოლური დარეჯან ტაკიძე და სხვები.

— დიდი საპატიო საქმეა ფართო ჩვენებით იყო გამოფენის მონაწილე, — ამბობს პარტიის მახარაძის რაიკომის მდივანი ამხ. შ. ჭანუყვაძე. ეს ჩვენს პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს ავალებს მომავალში უკეთესად იმუშაონ და ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ განუხრელად შეასრულონ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ისტორიული დადგენილებანი. მაშინ უფლებას მოვიპოვებთ 1955 წელსაც მივიღოთ მონაწილეობა გამოფენაში.

საკოლმეურნეო სოფელში ხალისიანი დაძაბული შრომაა გაჩაღებული. მახარაძელები პირობის განაღდებისათვის იბრძვიან.

ნ. ჯანჯღავა,
ბ. ჩხაიძე.

ტოლიატის განცხადება საბჭოთა მთავრობის ნოტის შესახებ

რომი, 27 ივლისი. (საკდესი). გაზეთმა „უნიტამ“ გამოაქვეყნა ტოლიატის განცხადება საბჭოთა მთავრობის ნოტის შესახებ, რომელიც შეიცავს წინადადებას მოწვეულ იქნას თათბირი სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის საკითხზე.

„შეცდომა, სერიოზული შეცდომა იქნება, — თქვა, კერძოდ, ტოლიატიმ, — ვიფიქროთო, რომ საბჭოთა კავშირის წინადადება დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებისადმი იტალიასაც არ შეეხებოდეს. იგი ჩვენთვის ინტერესს წარმოადგენს და ამასთან სასიცოცხლო მნიშვნელობის ინტერესს...

ჩვენ მშვიდობა გვესაჭიროება. შესაძლოა მშვიდობა ევროპის სხვა ხალხებზე უფრო გვესაჭიროებოდეს. იტალიელ ხალხს სძულს ომი და საომარი ღონისძიებანი და სურს მშვიდობა. ეს იმდენად სწორია, რომ კლერიკალი მმართველებიც კი, რომლებიც ამერიკის იმპერიალიზმის სამსახურში იმყოფებიან, იძულებული გახდნენ არაერთხელ აღენიშნათ თავიანთ საჯარო გამოსვლებში, რომ შეუერთდებოდნენ კონკრეტულ წინადადებებს, რომელთა მიზანია მშვიდობის უზრუნველყოფა კოლექტიური უშიშროების საშუალებით.

კეთილი, ეს კონკრეტული წინადადება, ეს მშვიდობისადმი ჩვენი მმართველების მისწრაფების სასინჯი ქვა. დაე მათ გამონახონ საშუალება — მისი გამონახვა კი ადვილზე ადვილია — და გვიჩვენონ, რომ მზად არიან საერთაშორისო მოლაპარაკებისათვის საბჭოთა კავშირის კონკრეტულ წინადადებათა საფუძველზე. და მაშინ, მაგრამ იხოლოდ მაშინ, დავიჯერებთ, რომ, როცა ისინი ამბობენ მშვიდობას ვესწრაფვითო, არ ატყუებენ იტალიელ ხალხს.

ვიცი, ისინი გვიპასუხებენ, „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნა გვსურსო. მაგრამ სწორედ ეს არის საქმე. „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ პროიექტი სამშვიდობო ინიციატივის საწინააღმდეგო რამ არის. ეს არის აქტი, რომლის საშუალებითაც, ძველი, გაცვეთილი და ხიშინი ამერიკული პოლიტიკის თანახმად, კვლავ თიშავენ მსოფლიოს, სამუდამოს ხდიან არსებულ უთანხმოებას, ქმნიან სახელმწიფოთა ჯაჯგუფებებს, რომლებიც მზად არიან დაიწყონ შეიარაღებული კონფლიქტი.

„ევროპის თავდაცვითი გაერთიანება“ ორ ნაწილად თიშავს ევროპას, ვერ წყვეტს ვერც ერთ საკითხს, რომლებიც ჯერ კიდევ გადაუჭრელია, და, მაშასადამე, იგი მიზნად ისახავს ევროპაში მდგომარეობის განუწყვეტელ გაუარესებას, მისი საბოლოო პერსპექტივა ომია.

საბჭოთა კავშირის წინადადების მიზანი კი ის არის, რომ, პირიქით, დაწყებულ იქნას გადაწყვეტა და კიდევაც გადაწყდეს ისეთი უაღრესად სერიოზული საკითხები, როგორიც არის, მაგალითად, პრობლემა გერმანიის ერთიანობისა მხარეთა დაახლოების, მოლაპარაკებისა და შეთანხმების საშუალებით.

არ ვიცი, აღმოჩნდება თუ არა ჩვენს მმართველებში ისეთი ვინმე, რომელიც შეიგნებს ამ მოსაზრებათა მთელ სერიოზულობას, ურჩობას გაუწევს ამერიკელ ბატონს და გაბედავს იმოქმედოს ამ ახალი დიდი სამშვიდობო ინიციატივის მხარდასაჭერად. მაგრამ თუ მმართველები ვერ შეიგნებენ, ხალხი, ჩვენი ქვეყანა შეიგნებს. ხალხი, მრავალი პატიოსანი ადამიანი კი, რომელთაც უყვართ მშვიდობა, ესწრაფვიან მას და სურთ, რომ იტალია კვლავ იღებდეს მონაწილეობას საერთაშორისო მოლაპარაკებაში, მძლავრად, ნათლად და კატეგორიულად მოითხოვს იტალიის ახალ და სამშვიდობო პოლიტიკას...“

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის პროტესტი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი

პეკინი, 27 ივლისი. (საკდესი). სინხუას საგენტომ გადასცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ჯან ხან-ფუს განცხადება, რომელშიც გამოთქმულია უაღრესად მტკიცე პროტესტი შეერთებული შტატების მთავრობისადმი იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის თვითმფრინავები შეიჭრნენ ჩინეთის საჰაერო სივრცეში და ჩამოაგდეს ჩინეთის ორი საპატრულო თვითმფრინავი. განცხადების ტექსტში ნათქვამია:

1954 წლის 26 ივლისს შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტის შენაერთი, რომელშიც შედიოდა ორი ავიოსანი და რამდენიმე საესკადრო ნაღმოსანი, შეიდა რაიონში, რომელიც აკრავს ჩინეთის კუნძულ ხაინანის აღმოსავლეთ სანაპიროს. 9 საათსა და 25 წუთზე ამერიკის ოთხი ავიაგამანადგურებელი ამ ავიოსნებიდან შეიჭრნენ ჩინეთის საჰაერო სივრცეში იუილინის ნაესადგურის თავზე. 10 საათსა და 05 წუთზე მეორე ჯგუფი ამერიკის 12 ავიაგამანადგურებლის შემადგენლობით შეიჭრა საჰაერო სივრცეში ლეხოის თავზე კუნძულ ხაინანზე და ერთი ნაწილი ჩინეთის ორ საპატრულო თვითმფრინავზე, რომლებიც ჩამოაგდო. ამის შემდეგ ამერიკის კიდევ ორმა ავიაგამანადგურებელმა პიკირებით აუტეხა სროლა პოლონეთის ორ საგაჭრო გემს და ჩინეთის საესკორტო გემს. ისინი ეაფრინდნენ, როცა ჩინეთის საესკორტო გემმა საპასუხო სროლა დიაწყო დაცვის მიზნით.

ყოველივე ეს შეერთებული შტატების იმპერიალისტთა აგრესიის კიდევ ერთი უკანონო აქტია, რომელიც ჩადენილია კანონისა და მორალის წინააღმდეგ.

რამდენიმე წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები, რომლებსაც ოკუპირებული აქვთ ჩინეთის ტერიტორია, ტაივანი, ამარაგებენ ჩან კაი-შის ბანდას დიდძალი თვითმფრინავებით, სამხედრო-საზღვაო გემებით, ყოველგვარი იარაღითა და სამხედრო მასალებით, წარმართავენ ჩან კაი-შის ბანდას და ეხმარებიან მას განუწყვეტლივ მოახდინოს თავდასხმები ჩინეთის სანაპირო რაიონებსა და კუნძულებზე, შეგზავნოს საიდუმლო აგენტები ჩინეთში, მეკობრეულად ჩაიგდოს ხელში და გაძარცვოს სხვადასხვა ქვეყნის საჯაჭრო გემები, რომლებიც ჩინეთში საჯაჭროდ მოდიან. უფრო მეტიც, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალები არაერთხელ თვითონ შეიჭრნენ ჩინეთის ტერიტორიულ წყლებში და საჰაერო სივრცეში. ახლა, როცა ერთგვარად შენელდა საერთაშორისო დაძაბულობა ქვანეის თათბირის მოწვევისა და ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის შესახებ შეთანხმების მიღწევის მეოხებით, ამერიკელი იმპერიალისტები, რათა იხსნან სამარცხვინო ჩაფუშვისაგან თავიანთი „ძალის პოლიტიკა“, კიდევ უფრო გაფთრდნენ და ხელმძღვანელობენ და მხარს უჭერენ ჩან კაი-შის ბანდის ნაბოლარებს მათს თავდასხმებში კონტინენტურ ჩინეთზე და მათს მეკობრულ მოქმედებაში.

ამ ბოლო დროს შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალებმა გაფართოეს სამხედრო საქმიანობა სამხრეთ ჩინეთის სანაპიროს რაიონში. სწორედ იმიტომ, რომ ამ რაიონს განუწყვეტლივ აწუხებენ შეერთებული შტატების საჰაერო ძალები და ჩან კაი-შის ბანდები, მოხდა საბედისწერო ინციდენტი ინგლისის სატრანსპორტო თვითმფრინავთან კუნძულ ხაინანის იუილინის ნავსადგურის თავზე 23 ივლისს დილით. ახლა კი შეერთებული შტატები, გაჯერვებში მოხვედრილი თვითმფრინავის გადარჩენის საბაბით, ისე გაკადნიერდნენ, რომ გაგზავნეს თავიანთი სამხედრო-საზღვაო ფლოტის შენაერთი და ავიაგამანადგურებლები ამ რაიონში ჩინელი ხალხის წინააღმდეგ აგრესიის აღმაშფოთებელი აქტების განსახორციელებლად, რაც გამოიხატა ჩინეთის საჰაერო სივრცეში შეჭრით, ჩინეთის ორ საპატრულო თვითმფრინავზე ბარბაროსული თავდასხმითა და მათი მოსპობით და ღია ზღვაში პოლონეთის საგაჭრო გემებისა და ჩინეთის გემისათვის პიკირებით სროლის ატეხით.

ამით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობა შეერთებული შტატების მთავრობას უცხადებს უაღრესად მტკიცე პროტესტს შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების დანაშაულებრივი მოქმედების წინააღმდეგ, რაც გამოიხატა იუილინის ნავსადგურისა და ლეხოის თავზე ჩინეთის საჰაერო სივრცეში შეჭრით, ჩინეთის ორ თვითმფრინავზე უეცარი თავდასხმითა და მათი უაღრესად ბარბაროსული მოსპობით, აგრეთვე ჩინეთის გემისათვის პიკირებით სროლის ატეხით. ჩინელი ხალხი უდიდესი გულისწყრომით გმობს შეერთებული შტატების იმპერიალისტთა აგრესიის ამ სამარცხვინო აქტებს. ამით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობა სერიოზულად აფრთხილებს შეერთებული შტატების მთავრობას, რომ მან დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს აგრესიის ამგვარი აქტები; წინააღმდეგ შემთხვევაში შეერთებული შტატების მთავრობას დაეკისრება მთელი პასუხისმგებლობა თავის პროვოკაციებისათვის და ამ პროვოკაციების ყველა შედეგისათვის. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობა უფლებას იტოვებს ჰოსთხოვოს შეერთებული შტატების მთავრობას კომპენსაცია ადამიანთა დაღუპვისა და მატერიალური ზარალისათვის, რაც მოუვიდა ინციდენტის დროს, როცა ჩამოგდებულ იქნა ჩინეთის ორი თვითმფრინავი.

ამერიკის ავიაციის ბანდიტური თავდასხმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თვითმფრინავებზე

ნიუ-იორკი, 27 ივლისი. (საკდესი). ამერიკის საგენტოები იუწყებიან ამერიკის შეერთებული შტატების ახალი სერიოზული პროვოკაციის შესახებ შორეულ აღმოსავლეთში. 26 ივლისს ამერიკის სამხედრო თვითმფრინავებმა ჩინეთის კუნძულ ხაინანის რაიონში მოახდინეს მეკობრული თავდასხმა ჩინეთის ორ თვითმფრინავზე და ჩამოაგდეს ისინი. ეს ფაქტი აღიარებულია სახელმწიფო მდივნის დალესის განცხადებაში.

იუწყებიან, რომ ამერიკის თვითმფრინავებს, რომლებმაც ეს სრულიად არაპროვოცირებული თავდასხმა მოახდინეს, ბაზა ჰქონდათ ავიოსნებზე, რომლებიც ხაინანის რაიონში გაიგზავნა მას შემდეგ, რაც ინციდენტი მოუვიდა ინგლისის სამგზავრო თვითმფრინავს, რომელიც შეცდომით ჩამოაგდეს ჩინეთის ავიაგამანადგურებლებმა.

ეჭვს არ იწვევს, რომ ამერიკის სამხედრო ხელისუფლებმა ინგლისის თვითმფრინავთან მომხდარი ინციდენტი გამოიყენეს პროვოკაციული თავდასხმისათვის, რათა შორეულ აღმოსავლეთში დარჩეს დაძაბულობის მდგომარეობა, რაც მნიშვნელოვნად შენელდა ქვანეის თათბირის წარმატების შედეგად.

პარიზი, 26 ივლისი. (საკდესი). ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი ლონდონიდან გადმოგვცემს:

კარგად ინფორმირებულ წრეებში აღნიშნეს, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებამ გაკვირვება გამოიწვია ლონდონის მთავრობის წრეებში.

ნიუ-იორკი, 26 ივლისი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს ლონდონელი კორესპონდენტი ვევშონი იუწყება, საქმეს გაცნობილი ოფიციალური პირები აღნიშნავენ, რომ ჩერჩილი და ედენი შეშფოთებული არიან ინციდენტით კუნძულ ხაინანის რაიონში (იგულისხმება ამერიკის ავიაციის თავდასხმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თვითმფრინავებზე. — **რედ.**), რადგან მიაჩნიათ, რომ ეს ინციდენტი საფრთხეს უქმნის „არა მარტო მათი საგარეო პოლიტიკის საფუძვლებს, არამედ საყოველთაო მშვიდობასაც“...

ლონდონი, 27 ივლისი. (საკდესი). ინგლისის გაზეთები, კომენტარს უკეთებენ რა ცნობას, რომ ამერიკის თვითმფრინავებმა ჩამოაგდეს ჩინეთის ორი თვითმფრინავი, შიშს გამოთქვამენ, რომ შეერთებული შტატების „უფუნერ“ მოქმედებას შეიძლება მოჰყვეს ახალი და უფრო სერიოზული ინციდენტები.

გაზეთი „მანჩესტერ გარდიანი“ წერს, რომ ჩინეთის სანაპიროსთან ამერიკის ავიაგამანადგურებლების გამოჩენა ინგლისის თვითმფრინავთან მომხდარი ინციდენტის სამი დღის შემდეგ შეიძლება გამოიყურებოდეს როგორც პროვოკაცია.

გაზეთ „დეილი მეილის“ დიპლომატიური მიმოხილველი აღნიშნავს, რომ „როცა ინგლისის თვითმფრინავი ჩამოაგდეს, ჩვენ არ მიგვიმართავს ამერიკისათვის თხოვნით დაეწყო საომარი ხასიათის მოქმედება. რამდენადაც მესმის, ორი ამერიკული ავიოსანი გაიგზავნა (კუნძულ ხაინანის რაიონში. — **რედ.**) ინგლისის მთავრობასთან კონსულტაციის გაუწევლად“.

„ტაიმსის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ამერიკის „მაშველი“ თვითმფრინავები, რომლებზეც დაღუნი ლაპარაკობდა, ნამდვილად იყო „ესეკსის“ კლასის „სკაიერიდერის“ ტიპის თვითმფრინავები, რომლებსაც ბაზა აქვთ ავიოსნებზე. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ეს „მოიერშეები სპარიო ხრახნით“ განკუთვნილი არიან ბომბების პიკირებით დაშენისათვის, ღამის იერიშებისათვის, წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ მოქმედებისა და სხვა მიზნებისათვის.

„ნიუს ქრონიკლი“ სარედაქციო სტატიაში აცხადებს: „ჩინელებმა სწრაფად და ჯეროვანი ფორმით მოიხადეს ბოდიში იმისათვის, რომ ჩამოაგდეს ინგლისის სამოქალაქო თვითმფრინავი და შემოგვთავაზეს კომპენსაციის გადახდის საკითხის განხილვა. ორივე წინადადება მიღებულ უნდა იქნას. ძალიან არასასიამოვნო იყო იმის გაგება, რომ ამერიკის შეიარაღებულმა ძალებმა წყნარ ოკეანეზე მიიღეს ბრძანება მზად იყვნენ. ასეთ ბრძანებას შეიძლება უბედურება მოჰყვეს“.

როგორც „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ ჰოსტი“ წერს, „ჩინეთის მთავრობის პოზიციის მიხედვით სამწუხაროა, რომ ამერიკის ავიოსნების გაგზავნამ (კუნძულ ხაინანის რაიონში. — **რედ.**) გამოიწვია ის, რომ ჩამოაგდეს ახალი თვითმფრინავები“.

გაზეთები „დეილი ექსპრესი“ და „დეილი სკეტჩი“ შეშფოთებული არიან იმით, რომ ამერიკის მოქმედებას სრულიად არ უჭერს მხარს ინგლისის საზოგადოებრივი აზრი.

ლონდონი, 27 ივლისი. (საკდესი). ლონდონის რადიოს ცნობით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ პროტესტი განაცხადა ამის წინააღმდეგ, რომ ამერიკის თვითმფრინავები თავს დაესხნენ ჩინეთის ორ ავიაგამანადგურებელს. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გამოთქმულია მტკიცე პროტესტი ამერიკის თვითმფრინავთა მოქმედების წინააღმდეგ, აგრეთვე ჩინეთის ტერიტორიული საჰაერო ზონის დარღვევის წინააღმდეგ.

ამერიკის ავიაციის ბანდიტური თავდასხმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თვითმფრინავებზე

ნიუ-იორკი, 27 ივლისი. (საკდესი). ამერიკის საგენტოები იუწყებიან ამერიკის შეერთებული შტატების ახალი სერიოზული პროვოკაციის შესახებ შორეულ აღმოსავლეთში. 26 ივლისს ამერიკის სამხედრო თვითმფრინავებმა ჩინეთის კუნძულ ხაინანის რაიონში მოახდინეს მეკობრული თავდასხმა ჩინეთის ორ თვითმფრინავზე და ჩამოაგდეს ისინი. ეს ფაქტი აღიარებულია სახელმწიფო მდივნის დალესის განცხადებაში.

იუწყებიან, რომ ამერიკის თვითმფრინავებს, რომლებმაც ეს სრულიად არაპროვოცირებული თავდასხმა მოახდინეს, ბაზა ჰქონდათ ავიოსნებზე, რომლებიც ხაინანის რაიონში გაიგზავნა მას შემდეგ, რაც ინციდენტი მოუვიდა ინგლისის სამგზავრო თვითმფრინავს, რომელიც შეცდომით ჩამოაგდეს ჩინეთის ავიაგამანადგურებლებმა.

ეჭვს არ იწვევს, რომ ამერიკის სამხედრო ხელისუფლებმა ინგლისის თვითმფრინავთან მომხდარი ინციდენტი გამოიყენეს პროვოკაციული თავდასხმისათვის, რათა შორეულ აღმოსავლეთში დარჩეს დაძაბულობის მდგომარეობა, რაც მნიშვნელოვნად შენელდა ქვანეის თათბირის წარმატების შედეგად.

პარიზი, 26 ივლისი. (საკდესი). ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი ლონდონიდან გადმოგვცემს:

კარგად ინფორმირებულ წრეებში აღნიშნეს, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებამ გაკვირვება გამოიწვია ლონდონის მთავრობის წრეებში.

ნიუ-იორკი, 26 ივლისი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს ლონდონელი კორესპონდენტი ვევშონი იუწყება, საქმეს გაცნობილი ოფიციალური პირები აღნიშნავენ, რომ ჩერჩილი და ედენი შეშფოთებული არიან ინციდენტით კუნძულ ხაინანის რაიონში (იგულისხმება ამერიკის ავიაციის თავდასხმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თვითმფრინავებზე. — **რედ.**), რადგან მიაჩნიათ, რომ ეს ინციდენტი საფრთხეს უქმნის „არა მარტო მათი საგარეო პოლიტიკის საფუძვლებს, არამედ საყოველთაო მშვიდობასაც“...

ლონდონი, 27 ივლისი. (საკდესი). ინგლისის გაზეთები, კომენტარს უკეთებენ რა ცნობას, რომ ამერიკის თვითმფრინავებმა ჩამოაგდეს ჩინეთის ორი თვითმფრინავი, შიშს გამოთქვამენ, რომ შეერთებული შტატების „უფუნერ“ მოქმედებას შეიძლება მოჰყვეს ახალი და უფრო სერიოზული ინციდენტები.

გაზეთი „მანჩესტერ გარდიანი“ წერს, რომ ჩინეთის სანაპიროსთან ამერიკის ავიაგამანადგურებლების გამოჩენა ინგლისის თვითმფრინავთან მომხდარი ინციდენტის სამი დღის შემდეგ შეიძლება გამოიყურებოდეს როგორც პროვოკაცია.

გაზეთ „დეილი მეილის“ დიპლომატიური მიმოხილველი აღნიშნავს, რომ „როცა ინგლისის თვითმფრინავი ჩამოაგდეს, ჩვენ არ მიგვიმართავს ამერიკისათვის თხოვნით დაეწყო საომარი ხასიათის მოქმედება. რამდენადაც მესმის, ორი ამერიკული ავიოსანი გაიგზავნა (კუნძულ ხაინანის რაიონში. — **რედ.**) ინგლისის მთავრობასთან კონსულტაციის გაუწევლად“.

„ტაიმსის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ამერიკის „მაშველი“ თვითმფრინავები, რომლებზეც დაღუნი ლაპარაკობდა, ნამდვილად იყო „ესეკსის“ კლასის „სკაიერიდერის“ ტიპის თვითმფრინავები, რომლებსაც ბაზა აქვთ ავიოსნებზე. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ეს „მოიერშეები სპარიო ხრახნით“ განკუთვნილი არიან ბომბების პიკირებით დაშენისათვის, ღამის იერიშებისათვის, წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ მოქმედებისა და სხვა მიზნებისათვის.

„ნიუს ქრონიკლი“ სარედაქციო სტატიაში აცხადებს: „ჩინელებმა სწრაფად და ჯეროვანი ფორმით მოიხადეს ბოდიში იმისათვის, რომ ჩამოაგდეს ინგლისის სამოქალაქო თვითმფრინავი და შემოგვთავაზეს კომპენსაციის გადახდის საკითხის განხილვა. ორივე წინადადება მიღებულ უნდა იქნას. ძალიან არასასიამოვნო იყო იმის გაგება, რომ ამერიკის შეიარაღებულმა ძალებმა წყნარ ოკეანეზე მიიღეს ბრძანება მზად იყვნენ. ასეთ ბრძანებას შეიძლება უბედურება მოჰყვეს“.

როგორც „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ ჰოსტი“ წერს, „ჩინეთის მთავრობის პოზიციის მიხედვით სამწუხაროა, რომ ამერიკის ავიოსნების გაგზავნამ (კუნძულ ხაინანის რაიონში. — **რედ.**) გამოიწვია ის, რომ ჩამოაგდეს ახალი თვითმფრინავები“.

გაზეთები „დეილი ექსპრესი“ და „დეილი სკეტჩი“ შეშფოთებული არიან იმით, რომ ამერიკის მოქმედებას სრულიად არ უჭერს მხარს ინგლისის საზოგადოებრივი აზრი.

ლონდონი, 27 ივლისი. (საკდესი). ლონდონის რადიოს ცნობით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ პროტესტი განაცხადა ამის წინააღმდეგ, რომ ამერიკის თვითმფრინავები თავს დაესხნენ ჩინეთის ორ ავიაგამანადგურებელს. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გამოთქმულია მტკიცე პროტესტი ამერიკის თვითმფრინავთა მოქმედების წინააღმდეგ, აგრეთვე ჩინეთის ტერიტორიული საჰაერო ზონის დარღვევის წინააღმდეგ.

ჩინეთის თვითმფრინავებზე ამერიკის ავიაგამანადგურებლების უაჩალური თავდასხმის გამო

ნიუ-იორკი, 28 ივლისი. (საკდესი). იუნაიტედ პრესის საგენტოს დიპლომატიური კორესპონდენტი ვაშინგტონში გონსალესი, ეხება ამერიკის ავიაგამანადგურებლების თავდასხმას ჩინეთის თვითმფრინავებზე კუნძულ ხაინანის მახლობლად, ცინიკურად აცხადებს თავის კორესპონდენციაში: „ოფიციალური პირები ყერძო საუბარში აღნიშნავენ, რომ ძალის დემონსტრაციამ უნდა განამტკიცოს ამერიკის პრესტიჟი აზიაში იმ მომენტში, როცა იგი უაღრესად შეილახა წითლების გამარჯვების გამო, რომლებმაც მიაღწიეს დაზავებას ინდოჩინეთში. ამ ოფიციალური პირების აზრით, ეს ინციდენტი ხელს შეუწყობს ამერიკის შეერთებული შტატების ცდებს შექმნან თავდაცვის ხელშეკრულება (ესე იგი სამხედრო ბლოკი. — **რედ.**) სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში...

საქართველოს სახელმწიფოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბუშავთა ავტოკავშირის კომკავშირის ბიუროს ბოლოდროინდელ სხდომაზე: (მარცხნივ) ბუღალტერები გენენ ჰერბარიუმებს; (მარჯვნივ) ბანაკის ექიმი მეოთვალ გედევანიშვილი ამოწმებს მიხეილ გაგუას ჯანმრთელობას.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სპორტის ამბები

საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება

ლინკი, 28 ივლისი. (საკდესი). გუშინ ქალაქ ლინკში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა მოსკოვის „დინამოს“ გუნდისა და ადგილობრივი გუნდის „ლასკის“ ფეხბურთელებს შორის. შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 5:3 „დინამოს“ გუნდის სასარგებლოდ. შეხვედრის მთელი შემოსავალი გადაეცემა წყალდიდობისგან დაზარალებული ავსტრიის მოსახლეობის დახმარების ფონდს.

პარადის მონაწილეთა დაბრუნება

როგორც ცნობილია, ფიზკულტურელის საკავშირო დღე დიდი ზეიმით აღინიშნა. ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდებმა ფიზკულტურელთა საკავშირო პარადზე აჩვენეს თავიანთი ოსტატობა, ერთხელ კიდევ ცხადყვეს უსაზღვრო ერთგულება სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი.

მომმე რესპუბლიკებთან ერთად პარადში ნოსაწილეობა მიიღეს საქართველოს ფიზკულტურელებმა, რომლებმაც მოწონება დიმსახურეს.

გუშინ პარადის მონაწილე საქართველოს ფიზკულტურელები თბილისში დაბრუნდნენ. აქ მათ გულთბილი შეხვედრა მოუწყეს, სპორტსმენებს მრავალი თაიგული უძღვნეს.

30 ივლისს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება დიდი სპორტული დღესასწაული. საქართველოს სპორტსმენები მშრომელებს უჩვენებენ ფიზკულტურელთა საკავშირო პარადში მათ მიერ შესრულებულ ვარჯიშებს.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

„ა“ კლასი

მოსკოვი. 28 ივლისი. დედაქალაქის „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მეორეგი ასპარეზობა ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე. თამაშობდნენ მოსკოვისა და ხარკოვის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა კოლექტივები. შეჯიბრება დამთავრდა მოსკოვის ლოკომოტიველთა გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

მატჩები ალმა-ატაში

ალმა-ატა. 28 ივლისი. აქ მიმდინარეობს ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრები კოლექტივების ზონალური ასპარეზობა. ფინალში მონაწილეთა გასარკვევლად შეხვედრები ეწყობა აგრეთვე კუბიშევსა და მინსკში.

ალმა-ატის ზონაში სხვა გუნდებთან ერთად იბრძვის საქართველოს ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრები კოლექტივი. ამ ზონაში მეორე ტურის შედეგები ასეთია: რსფსრ — საქართველო 1:0, თურქმენეთი — ტაჯიკეთი 0:5, ყირგიზეთი — ყაზახეთი 0:3.

მესამე ტური შედგა 27 ივლისს. საქართველოს გუნდმა მოუგო თურქმენეთის ფეხბურთელთა კოლექტივს ანგარიშით 12:0. რსფსრ-ისა და ყირგიზეთის გუნდების თამაშში გამარჯვებული გამოვიდნენ რსფსრ-ის ფეხბურთელები 3:1. ყაზახეთის გუნდმა დაამარცხა ტაჯიკეთის ფეხბურთელთა კოლექტივი 9:1.

დღეს გაიმართება ზონალური ასპარეზობის მეოთხე ტურის ნატჩები.

სასამართლოს დარბაზიდან

მძარცველებს. ქურდებს — ღირსეული სასჯელი

— რა სჯობია ქეიფსა და ლხენასა, — გაჰკიოდა ერთი.

— მეტადრე მაშინ, როცა შენი არაფერი ღხარჯება, — ლუღლუღებდა მეორე.

— ძალიან კი ავცრემლეთ ის კაცი დღეს, — იკვეხნიდა მესამე. გათენებამდე ქეიფობდნენ, ღრეობდნენ მდინარე რიონის პირას რესტორანში თავმოყრილი ძმაბიჭები.

ვინ იყვნენ ისინი?

ქურდბაცაცები, მძარცველები ვ. გოცირიძე, გ. ქაშიბაძე, მ. ბებერაშვილი, ი. შაკოვი, ვ. გუჯაბიძე, ბ. ვართანოვი, მ. ჭუმბურიძე და ე. მაჭარაშვილი გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდნენ, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას გაურბოდნენ. მათ მრავალი მოქალაქე გაძარცვეს და გაჭურდეს. დასახელებული პირებიდან ზოგი ასეთი „საქმიანობისათვის“ წინათაც იყო პატიმრობაში.

ქურდბაცაცების, მძარცველების საქმე ამ დღეებში გაარჩია ქუთაისის მეზუთე უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. ბ. ჩეჩელაშვილის თავმჯდომარეობით. სასამართლომ ბოროტმოქმედებს ვ. გოცირიძესა და გ. ქაშიბაძეს მიუსაჯა ოცდაოცი წლის პატიმრობა, ქონების კონფისკაცია და სასჯელის მოხდის შემდეგ ხუთ-ხუთი წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა; მ. ბებერაშვილს, ი. შაკოვს, ვ. გუჯაბიძეს, ბ. ვართანოვს, ნ. ჭუმბურიძეს და ე. მაჭარაშვილს თხუთმეტ-თხუთმეტი წლის პატიმრობა და სასჯელის მოხდის შემდეგ სამ-სამი წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა. ყველა მსჯავრდადებულს დაეკისრა დაზარალებულ პირთა ზარალის ანაზღაურება.

დარბაზში მსხდომი მოქალაქენი სასამართლოს განაჩენს კმაყოფილებით შეხვდნენ.

ა. ქვარაციხელი.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურციკიძე.

თბილისის „დინამოს“ სტადიონი
31 ივლისს
ფეხბურთი
შეჯიბრება სსრ კავშირის პირველობაზე „ბ“ კლასის ოსტატთა გუნდებს შორის
ავანგარდი (ჩელიაბინსკი) — **ოფიცერთა საოლქო სახლი (თბილისი)**
დასაწყისი 18 ს. 30 წ.

მშობლები დარო, იოსებ, მეუღლე მარინე გოგოლაძე, შვილები გია, ბესიკი, დები ბაბულია, სონინა, სიძეები ვ. როსებიშვილი ა. გოზალიშვილი შვილებით იუწყებიან **დავით ოსების-ძე გრიშკაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 31-VII ქ. თელავში, ელსადგურის ქ. № 2.

მეუღლე ნადია, შვილები გივი, ლენა, ტატიანა, რძალი მადლენა ხურცილავები, შვილიშვილები მერაბ, ოთარ, მანანა, სიძეები ვანო ჯაფარიძე და შაქრო სამნიაშვილი იუწყებიან **თეოფილე კიმოთეს-ძე ხურცილავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 31-VII, 8 ს. გამოსვენება 1-VIII, 4 ს. ვახუშტის ქ. № 21.

შვილები არჩილ, ნატო, რძლები თამარ ეგეგენია, შვილიშვილები ზაირა, კუკური, ანზორი, მზია იუწყებიან **ნადია ნიკოლოზის ასულ ცხაკაიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 30-VII, 7 ს. გამოსვენება 31-VII, 5 ს. ბიოწერის ქ. № 14.

გერონტი, ლიზა, ნატაშა, ფედოსი, ანნიკო, ბიძინა, ოთარ ქიქოძეები ოჯახებით იუწყებიან სიძის პროფესორ **კონსტანტინე ანდრონიკაშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე თამარ, შვილები მარგო, ვანო, იასონ, და ლიზა, ძმა დათიკო, სიძე ქართლოს ედილაშვილი. რძალი ტაია, შვილიშვილები იუწყებიან **გიორგი იასონის-ძე კვირიკაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 30. 31-VII. 8 ს. გამოსვენება 1-VIII, 4 ს. ბუფერის შესახვევი № 7.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები იუწყებიან **გიორგი გერმანეს-ძე კედიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-VIII, 5 ს. დაბა წალენჯიხაში.

ძმები ვლადიმერ, იზმაილ გოგლიჩიძეები ალოლ-შვილით, დები ფაცია, ცაცა. მარუსია, ალიკო, ლენა ქმარ-შვილთ იუწყებიან **ბესარიონ ლუკას-ძე გეორხელიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 8 ს. გამოსვენება 1-VIII, 4 ს. საზღვრის ქ. № 14.

მეუღლე მარიამ, შვილები ლუბა, ქეთო, რძალი სალომე, შვილიშვილები ნუნუ, ცისანა, ზურიკო იუწყებიან **ვასილ აბრამის-ძე ქორხულის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 30-VII. 8 ს. გამოსვენება 31-VII, 5½ ს. ბარათაშვილის აღმართი № 16.

შვილები მზია, ოთარ ანდრონიკაშვილები, შვილიშვილები მანანა, ნაია, არჩილ, ირაკლი იუწყებიან **კონს